

შპს „სპორტმშენსერვისი“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში.....	9
კაპიტალის ცვლილებების ანგარიში	10
სრული შემოსავლების ანგარიში	11
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში	12
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	13
მმართველობის ანგარიშგება.....	26

შპს „სპორტმშენსერვისის“ პარტნიორს და ხელმძღვანელობას

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ჩვენ განვახორციელეთ შპს „სპორტმშენსერვისის“ (შემდგომში - კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; სრული შემოსავლის ფინანსური ანგარიშგებისაგან; საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისაგან და ამავე წელს დასრულებული თარიღისათვის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისაგან, ასევე ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისაგან.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS) ფარგლებში.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისაგან, არ გაგვაჩნია არანაირი დაინტერესება აუდიტის შედეგის მიმართ. ვმოქმედებდით ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და ვითვალისწინებთ IESBA კოდექსით მოთხოვნილ სხვა ეთიკური ვალდებულებებსაც.

მიგვაჩნია, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორის მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისაგან, არ გაგვაჩნია არანაირი დაინტერესება აუდიტის შედეგის მიმართ. ვმოქმედებდით ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და ვითვალისწინებთ IESBA კოდექსით მოთხოვნილ სხვა ეთიკური ვალდებულებებსაც.

მიგვაჩნია, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორის მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, „კომპანიის“ თანდართული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს უზუსტობებს, რომელიც ცალ-ცალკე ან ერთად აღებული არსებითია, მაგრამ არა ყოვლისმომცველი. „პირობითი მოსაზრების საფუძვლის“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „სპორტმშენსერვისის“ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) გათვალისწინებით.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბასს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების რეალურობაზე გავლენის მომხდენ ფაქტორებად შეიძლება ჩაითვალოს კანადურ კომპანია „ბეჰლენთან“ გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესრულებიდან წარმოშობილი ოპერაციათა ანგარიშგებაში ასახვის საკითხები (მითითებულ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების გარშემო მოკლე მიმოხილვა მოცემულია წინამდებარე დასკვნის „სხვა გარემოებათა“ აბზაცში). აგრეთვე ორგანიზაციაში ოფიციალური სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა.

ჩვენ დავინიშნეთ კომპანიის აუდიტორებად 2018 წლის 21 სექტემბერს. შესაბამისად ვერ შევძელით დავსწრებოდით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის პროცესს 2017 წლის 31 დეკემბრისათვის და 1-ლი იანვრისათვის (ინვენტარიზაციები ჩატარებულია შპს „სპორტმშენსერვისის“ დირექტორის 2016 წლის 30 დეკემბრის №58 და 2017 წლის 21 დეკემბრის №37 ბრძანებების საფუძველზე შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიების მიერ). ჩვენ ვერ შევძელით ალტერნატიული მეთოდებით საკმარისი მტკიცებულების მოპოვება 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ნაშთებთან დაკავშირებით. იქიდან გამომდინარე, რომ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების საწყისი ნაშთი გამოიყენება საოპერაციო შედეგის და ფულადი ნაკადების განსაზღვრაში, ამიტომ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნაჩვენებ წმინდა მოგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში დაფიქსირებული წმინდა ფულად შემოდინებებთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ((IFRS)) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „სპორტშენსერვისის“ ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „სპორტშენსერვისის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და მართებულსაფუძველს წარმოადგენს აუდიტორული დასკვნის გაკეთებისათვის.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

კომპანიის ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ „სპორტმშენსერვისის“ წინამორბედი აუდიტორული შემოწმება - 2016 წლის ფინანსური ანგარიშგებასთან დაკავშირებით ჩატარებულია შპს „აუდიტ-ცენტრის“ მიერ, რაზედაც 2017 წლის 31 მარტის თარიღით შედგენილია შესაბამისი, „დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა №13/4“.

სხვა გარემოებები

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, შპს „სპორტმშენსერვისისა“ და კანადურ კომპანიას BEHLEN INDUSTRIES LP-ს შორის 2016 წლის 4 ოქტომბერს გაფორმებულია გამარტივებული შესყიდვის №160 ხელშეკრულება (ღირებულება 54 350 000 აშშ დოლარი) . მითითებული ხელშეკრულების შესრულების მდგომარეობის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახარჯთაღრიცხვო ღირებულება და შესრულებული სამუშაოების ღირებულება აუდიტორული დასკვნის შედგენის თარიღისათვის დასაზუსტებელია.

ამათან, სახელშეკრულებო პირობებიდან გამომდინარე დასარიცხი ჯარიმის ოდენობა დამოკიდებულია შესრულებულ სამუშაოს ღირებულებაზე, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კორექტირებას დაექვემდებარება ასანაზღაურებელ ღირებულებასაც. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კანადურ კომპანიას BEHLEN INDUSTRIES LP-ს მიმართ კრედიტორული დავალიანება (სადებეტო ბრუნვა 3 36 311 593 ლარი; საკრედიტო ბრუნვა 41642 627 ლარი) 5 331 034 ლარს შეადგენს (არსებული პირველადი დოკუმენტების თანახმად), ზემოაღნიშნული მოვლენათა გამო შესაბამისად გადავადებულია შედარების აქტის გაფორმება [დასკვნის შედგენის თარიღისათვის კრედიტორული დავალიანებაზე (თანხით 5 331 034 ლარი) ვერ მოვიპოვეთ დასტური] .

2017 წლის 29 დეკემბერს მიმწოდებელთან გაფორმებულია 2 მიღება-ჩაბარების აქტი თანხით 16 183 738.4 აშშ დოლარი:.. მათ შორის მულტიფუნქციური ორდარბაზიანი სპორტის სასახლის მშენებლობაზე ქ. თელავში თანხით 7 380 049,57 აშშ დოლარი და მულტიფუნქციური ორდარბაზიანი სპორტის სასახლის მშენებლობაზე ქ. ბათუმში 8 803 688,83 აშშ დოლარი.

მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველი N160 ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად უნდა ყოფილიყო სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ მომზადებული ექსპერტიზის დასკვნა და დადასტურებული ფორმა №2 (შესრულებული სამუშაოს აქტი), რაც დადასტურებდა ფაქტობრივად გაწეული სამუშაოების ღირებულებას.

მიმწოდებლის მიერ მიწოდებული ფორმა №2-ები არ არის შედგენილი საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N52 და N55 დადგენილებებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით, ასევე შესასრულებელ სამუშაოებზე დასკვნის შედგენის თარიღისათვის ხარჯთაღრიცხვა არ არის შედგენილი, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი უნდა ყოფილიყო. (რაც ასევე აღნიშნულია სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ საექსპერტო დასკვნებში).

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე მცირე და საშუალო საწარმოები ვალდებული არიან ფინანსური ანგარიშგება მოამზადონ მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მოთხოვნათა შესაბამისად, მაგრამ უფლება აქვთ გამოიყენონ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS). თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნულ სტანდარტებზე გადასვლა კომპანიის მიერ მხოლოდ ნაწილობრივ არის განხორციელებული და მიმდინარეობდა მუშაობა მისი სრულად დანერგვისათვის. ამასთან მიმართებაში არსებობდა გარკვეული პრობლემები, რაც დაკავშირებული იყო ორგანიზაციის საწესდებო-სტრუქტურულ და რიგ სხვა გარემოებებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჯეროვნად არ განხორციელებულა ორგანიზაციის 2017 წლის ბალანსის წარდგენაც კულტურისა და სპორტის სამინისტროში, რომელიც წარმოადგენს „სპორტმშენსერვისის“ 100%-იანი წილის მესაკუთრეს. ორგანიზაციის ხელმძღვანელობის განმარტებით 2017 წლის ბალანსი მოითხოვდა კორექტირებას

საწყისი და საბოლოო ნაშთების რეალური ოდენობის გარკვევის საკითხში, მათ შორის იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაციის ბალანზე რიცხული ძირითადი საშუალებები და რიგი სხვა აქტივები გადაფასებულ იქნა და მითითებულმა სამუშაოებმა და შემდეგ კი ახალი ღირებულებით მათი ბალანსა და ანგარიშების სხვა ფორმებში ასახვამ დროის გაჭიანურება გამოიწვია.

აგრეთვე ორგანიზაციაში ოფიციალური სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობის გამო აუდიტი ჩატარებისას ვიხელმძღვანელებთ ფაქტობრივი აღრიცხვის მონაცემებზე დაყრდნობით რაც ასახულია ახსნა განმარტებით შენიშვნებში და შეესაბამება ზოგადი სააღრიცხვო საანგარიშგებო პოლიტიკის პრინციპებს.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც მივიღეთ აუდიტორის დასკვნის თარიღამდე.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, რომელიც აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მივიღეთ, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენილობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, „კომპანიის“ მენეჯმენტის მიერ გაწეული საქმიანობა უნდა შეფასდეს უარყოფითად, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, შპს „სპორტმშენსერვისა“ და კანადურ კომპანიას BEHLENINDUSTRIES LP-ს შორის 2016 წლის 4 ოქტომბერს გამართებული შესყიდვის №160 ხელშეკრულება გაფორმებულია, საქართველოში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში. ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები დასკვნის შედგენის თარიღისათვის არ არის დასრულებული (შესრულებულია ნაწილობრივ), რაც საქართველოში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის განხორციელების შეუსრულებლობაზეც მიუთითებს. (რიგი სხვა მომენტები აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოებიდან გამომდინარე მოცემულია „სხვა გარემოებათა“ ამსახველ აბზაცში);

კომპანია ბოლო წლებში სტაბილურ ფინანსურ შედეგებს ვერ აღწევს და საანგარიშგებო პერიოდებს უმნიშვნელო (მიზერული) ფინანსური მოგებით ამთავრებს, ან უფრო უარესი 2016-2017 წლები დასრულებულ იქნა ფინანსური შედეგი - ზარალით. ამიტომაც დღის წესრიგში დგება ორგანიზაციის მუშაობის რადიკალური გაუმჯობესების საკითხი, გასატარებელია რიგი ღონისძიებები, მათ შორის დებიტორული დავალიანებათა ამოღების მიმართულებით, განსახორციელებელია საკადრო ოპტიმიზაციის საკითხები, პროგრამულ ინოვაციათა დანერგვები და ა.შ.

გარიგების პარტნიორი

(SARAS-A- 814430; სერთიფიკატი: საი №0293)

ვ.აბრალავა

აუდიტორ-პარტნიორი

(SARAS-A- 859265; სერთიფიკატი: საი №0299)

ნ. ხიჯაკაძე

აუდიტორ-პარტნიორი

(SARAS-A- 458120)

ვ.კობიაშვილი

შპს "სპორტშენსერვისი"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	31.12.2017	01.01.2017
ფული და ფულის ეკვივალენტები	17807098	15253383
შეზღუდული ფული და ფულის ეკვივალენტები		
მოთხოვნები ბანკების მიმართ		
სავაჭრო ფასიანი ქაღალდები		
წარმოებული ფინანსური აქტივები		
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით		
გადახდილი ავანსები		
გაცემული სესხები		
სესხების გაუფასურების ანარიცხი		
მიმდინარე მარაგები	54870	64713
წინასწარ გაწეული ხარჯი	100	100
გრძელვადიანი მარაგები		
სავაჭრო მოთხოვნები	474664	350616
რეალიზებადი წილობრივი მონაწილეობის საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები		
რეალიზებადი სავალო ფასიანი ქაღალდები		
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები		
მოთხოვნები ფინანსური იჯარაიდან		
საინვესტიციო ქონება		
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში		
წინასწარ გადახდილი მიმდინარე მოგების გადასახადი	39141	39148
წინასწარ გადახდილი მიმდინარე მოგების გადასახადი		
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი		
სხვა საგადასახადო აქტივი	1874296	
ბიოლოგიური აქტივები		
სხვა მიმდინარე აქტივები		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები	8858	7200
ძირითადი საშუალებები	78634861	46642162
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები		
სულ აქტივები	98893888	62357322
ვალდებულებები		
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები		
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით		
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	5383565	84583
სხვა ფინანსური ვალდებულებები		
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება		
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება		
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		42546
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები		
მომხმარებელთა ლოიალურობის პროგრამები		
მიღებული გრანტები		
სუბორდინირებული სესხი		
გასაყიდად გამიზნულ შეწყვეტილ ოპერაციებთან პირდაპირ დაკავშირებული ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	5383565	127129
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	95660815	62164993
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	-2150492	65200
სხვა რეზერვები		
სულ საკუთარი კაპიტალი	93510323	62230193
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	98893888	62357322

ხელმოწერი პირები:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

თენგიზ ჯიქია

ნანა სულაბერიძე

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

#	დასახელება	ლარი			
		ნაშთი 01.01.2018	სადებიტო ბრუნვა	საკრედიტო ბრუნვა	ნაშთი 31.12.2017
1	საწესდებო კაპიტალი	62164993	1609082	35104905	95660815
2	გაუნაწილებელი მოგება	65200	-2215692	0	-2150492
3	სულ	62230193	-606610	35104905	93510323

ხელმოწერი პირები:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

თენგიზ ჯიქია

ნანა სულაბერიძე

შპს "სპორტმშენსერვისი"

მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

დასახელება	2017წ	2016წ
ამონაგები	2693850	2070856
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		
გამოყენებული ნედლეული და მასალები	-157000	-115571
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	-2270057	-858262
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	-5570	-11298
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	-3644	-3690
საკონსულტაციო ხარჯი		
მმართველი კომპანიის მომსახურების ხარჯი		
სარეიტინგო მომსახურების ხარჯი		
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	-219863	-37502
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები	-2126	-2795
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	-533682	-431820
იჯარის ხარჯი		
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი		
ცვეთა და ამორტიზაცია	-1900143	-520296
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-73432	-182092
საოპერაციო მოგება	-2471667	-092470
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
გაცემულ სესხებზე		
სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებზე		
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	17338	-6614
სხვა ფინანსური შემოსავალი	238637	817203
სხვა ფინანსური ხარჯი		
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-2215692	-281881
მოგების გადასახადი	-	-
მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	-215692	-281881
შეწყვეტილი ოპერაციები	-	-
მოგება/(ზარალი)	-2215692	-281881
შემდგომში არ შეიძლება რომ რეკლასიფიცირებული იყოს მოგებაში ან ზარალში (დაბეგვრის შედეგების გამოკლებით/გათვალისწინებით):	-	-
უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-2215692	-281881

ხელმოწერი პირები:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

თენგიზ ჯიქია

ნანა სულაბერიძე

შპს "სპორტშენსერვისი"
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

დასახელება	ლარი 2017
ფული და ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	
იჯარიდან შემოსავლები	1,748,439
აუზიდან შემოსავლები	1,130,423
კაფედან შემოსავლები	148,115
ავტოსადგომიდან შემოსავლები	27,499
დაბრუნებული დღგ	3,500,000
თანამშრომლებზე გადახდილი ხელფასები და სხვა სარგებელი	(1,732,541)
საგადასახადო გადასახადები	(98,471)
კომუნიკაციის, კომუნალური და სხვა ლოჯისტიკური გადასახადები	(632,981)
მატერიალური მარაგები	(149,338)
მომსახურების ანაზღაურება	(8,570)
სამეურნეო ხარჯი (დერატიზაცია, ტრანსპორტირება და სხვა)	(107,970)
მივლინება	(1,185)
საწვავის ხარჯი	(21,458)
სარეკლამო ხარჯი	(4,484)
აუდიტის ხარჯი	(4,300)
ბანკის მომსახურება	(13,905)
სხვა ხარჯი	(16,680)
საოფისე	(10,470)
შეცდომით ჩარიცხული თნხის გადარიცხვა (სამინისტროზე)	(17,361)
მიმდინარე რემონტი	(18,754)
სულ ფული და ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	3,716,008
ფული და ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(36,526,976)
ძირითადი საშუალებების შექმნა (დაუმთავრებელი მშენებლობა)	(36,495,841)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(27,262)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(3,873)
ფული და ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	35,364,683
საწესდებო კაპიტალში შენატანი	35,104,905
მიღებული პროცენტი	235,924
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	14,634
სხვა შემოსავლები	9,220
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	15,253,383
ფული და ფულადი სახსრების ცვლილება პერიოდის განმავლობაში	2,553,715
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	17,807,098

ხელმომწერი პირები:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

თენგიზ ჯიქია

ნანა სულაბერიძე

შპს „სპორტმშენსერვისის“ ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

ორგანიზაციის საფირმო სახელწოდება: შპს „სპორტმშენსერვისი“ (შემდგომში - კომპანია) სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; იურიდიული მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 49ა, ფაქტობრივი მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. 15ა; საიდენტიფიკაციო ნომერი: 204878542. კომპანია არის მეწარმე სუბიექტი. იგი შემნილია მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, რომელმაც სახელმწიფო რეგისტრაცია შესაბამისი წესით, სამეწარმეო რეესტრში გატარებულია ვაკე-საბურთალოს სასამართლოს 1999 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით.

კომპანიის დამფუძნებელი და კაპიტალში წილის 100%-ის მესაკუთრე პარტნიორია სახელმწიფო, წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახით.

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 15 მარტის №15/03/06 განკარგულებისა და 2013 წლის 25 მარტის ხელშეკრულების (სსიპ - საწარმოთა ქონების ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს შორის) საფუძველზე, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს გადაეცა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული შპს „სპორტმშენსერვისის“ 100% წილი მართვის უფლებით.

საანგარიშგებო პერიოდში „სპორტმშენსერვისის“ დირექტორი იყო ლევან ტარყაშვილი (აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან გაფორმებული 2013 წლის 5 ივლისის №1 შრომითი ხელშეკრულების თანახმად, ხოლო თვითონ ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრებოდა დირექტორის უფლებამოსილების ვადით; განთავისუფლებულია თანამდებობიდან აღნიშნული სამინისტროს 2018 წლის 3 მაისის №1-325 ბრძანებით); საანგარიშგებო პერიოდში ორგანიზაციის მთ. ბუღალტრად მუშაობდა ცირა ცინცაძე (განთავისუფლებულია მთ. ბუღალტრის თანამდებობიდან და გადაყვანილია ბუღალტრის თანამდებობაზე 2018 წლის 6 ივლისიდან (შრომითი შეთანხმება №36-1, 06.07.18წ.).

2018 წლის 7 მაისიდან „სპორტმშენსერვისის“ დირექტორად მუშაობს თენგიზ ჯიქია (საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძ. №01/326, 07.05.18წ.), ხოლო მთ. ბუღალტრად კი ნანა სულაბერიძე (2018 წლის 17 ივლისიდან).

კომპანიის წესდება დამტკიცებულია სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ 2005 წლის 19 დეკემბრის №13/764 ბრძანებით და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციაში 2006 წლის 6 თებერვალს. შემდგომ პერიოდებში წესდებაში შეტანილია რიგი ცვლილებები. წესდების თანახმად შპს „სპორტმშენსერვისი“ თავის საქმიანობას ახორციელებს შემდეგი მიმართულებებით: სპორტული ბაზების მოდერნიზაცია, გადაიარაღება, გაფართოება და სარემონტო სამუშაოების ჩატარება; სპორტული ბაზების პასპორტიზაცია; სპორტის დეპარტამენტის სისტემის სპორტული ბაზების ინვენტარიზაცია და მოწყობილობებით მომარაგების ცენტრალიზებული უზრუნველყოფა; ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების ეფექტური ექსპლოატაცია, ფასიანი მომსახურების გაუმჯობესება, სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და მშენებლობა და ა.შ.

კომპანია თავის საქმიანობას წარმართავს მის მიერვე შედგენილი წლიური ბიზნეს-გეგმის შესაბამისად, რომელიც მტკიცდება საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ. 2017 საანგარიშგებო პერიოდისათვის კორექტირებული ბიზნეს-გეგმა დამკვიცებულია აღნიშნული სამინისტროს 2017 წლის 4 აგვისტოს №01/950 ბრძანებით.

კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2017 წელს შეადგენდა 125 კაცს.

2. „სპორტმენსერვისის“ საოპერაციო გარემო

„სპორტმენსერვისი“ ძირითად სამეურნეო საქმიანობას წარმართავს საქართველოში. საქართველოს ჯერ კიდევ გააჩნია განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლები. საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, რაც ართულებს საქართველოში ფუნქციონირებადი კომპანიების წინაშე მდგომ გამოწვევებს.

კომპანიის ხელმძღვანელობას არ შეუძლია წინასწარ განჭვრიტოს ყველა ის მოვლენა, რამაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და განსაზღვროს, თუ საბოლოოდ რა ზეგავლენას მოახდენს ეს - ან საერთოდ მოახდენს თუ არა რაიმე ზეგავლენას - კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, აგრეთვე საგადასახადო, სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების განვითარებაზე.

კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ იგი ყველა საჭირო ღონისძიებას ატარებს კომპანიის მდგრადობისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

3. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანია ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს (თუმცა არასრულად) „ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების“ (IFRS) მიხედვით.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე მცირე და საშუალო საწარმოები ვალდებული არიან ფინანსური ანგარიშგება მოამზადონ მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მოთხოვნათა შესაბამისად, მაგრამ უფლება აქვთ გამოიყენონ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS). თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნულ სტანდარტებზე გადასვლა კომპანიის მიერ მხოლოდ ნაწილობრივ არის განხორციელებული და მიმდინარეობდა მუშაობა მისი სრულად დანერგვისათვის. ამასთან მიმართებაში არსებობდა გარკვეული პრობლემები, რაც დაკავშირებული იყო ორგანიზაციის საწესდებო-სტრუქტურულ და რიგ სხვა გარემოებებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჯეროვნად არ განხორციელებულა ორგანიზაციის 2017 წლის ბალანსის წარდგენაც კულტურისა და სპორტის სამინისტროში, რომელიც წარმოადგენს „სპორტმენსერვისის“ 100%-იანი წილის მესაკუთრეს. ორგანიზაციის ხელმძღვანელობის განმარტებით 2017 წლის ბალანსი მოითხოვდა კორექტირებას საწყისი და საბოლოო ნაშთების რეალური ოდენობის გარკვევის საკითხში, მათ შორის იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაციის ბალანზე რიცხული ძირითადი საშუალებები და რიგი სხვა

აქტივები გადაფასებულ იქნა და მითითებულმა სამუშაოებმა და შემდეგ კი ახალი ღირებულებით მათი ბალანსსა და ანგარიშგების სხვა ფორმებში ასახვამ დროის გაჭიანურება გამოიწვია.

კომპანიამ უნდა შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა, რაც უნდა შეესაბამებოდეს კომპანიის პირველი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდისათვის ეფექტურ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს. აქედან გამომდინარე, კომპანიის მენეჯმენტი არ გამორიცხავს ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტირებების საჭიროების წარმოქმნის შესაძლებლობას.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ზოგადად, ისტორიული ღირებულება დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოთ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე. სამართლიანი ღირებულება ის თანხაა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად, ჩვეულებრივი გარიგების პირობებში ბაზრის მონაწილეთა შორის, შეფასების თარიღისათვის.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონირებად საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს - ქართული ლარი (GEL). უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ოპერაციები ჩაიწერება ეროვნულ ვალუტაში, ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაყვანა ანგარიშის პერიოდისათვის ხდება ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი, წლის ბოლოსთვის არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.5922	2.6468
1 ევრო/ლარი	3.1044	2.794

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის ოფიციალური სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობის გამო აუდიტის ჩატარებისას ვიხელმძღვანელებთ ფაქტობრივად არსებული აღრიცხვის მონაცემებზე დაყრდნობით, რაც ასახულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში და შეესაბამება ზოგადი სააღრიცხვო-საანგარიშგებო პოლიტიკის პრინციპებს.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები, რომელიც მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში, ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკის მატარებელია. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. კომპანია დეტალურად აანალიზებს სავაჭრო მოთხოვნებს, და მენეჯმენტის უშუალო ჩართულობით, ერთიანი შემუშავებული ფორმით ახდენს ფინანსური რეზერვის სამართლიანი ოდენობის განსაზღვრას.

პირველ რიგში თითოეულ სავაჭრო მოთხოვნაზე ხდება იმის ინდივიდუალური ანალიზი, ხომ არ არსებობს რწმუნება, რომ კომპანია არსებულ დავალიანებას საერთოდ ვერ დაფარავს. ამ შემთხვევაში შესაბამისი სავაჭრო მოთხოვნა დარეზერვდება 100 %-ით. ხოლო დარჩენილი თანხა შეფასდება ვადაგადაცილების დღეების მიხედვით.

ასევე ფასდება, ხომ არ არის დავალიანების რაიმე ნაწილი, რომელსაც კლიენტი არ ეთანხმება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული ნაწილი დარეზერვდება ასევე 100% -ით, ხოლო დარჩენილი თანხა შეფასდება ვადაგადაცილების დღეების მიხედვით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება შემდეგნაირად: მათ თავდაპირველ თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ღირებულება. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

ძირითადი საშუალებების შეკეთება, მისი მოხდენისთანავე, აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში. ის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან, კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

კომპანიის მფლობელობაშია მიწა და შენობა-ნაგებობები.

ცვეთა

2017 წელს კომპანიამ განახორციელა ძირითადი საშუალებების (გარდა მიწისა) გადაფასება 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

აღნიშნულ პერიოდამდე ძირითადი საშუალებების ცვეთის გამოსათვლელად კომპანია იყენებდა წრფივ მეთოდს, რომლის დროსაც მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება უნდა მოხდეს მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

ნარჩენი ღირებულება ის სავარაუდო ღირებულებაა, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების

მოსახურების პერიოდის გადახედვა ხდებოდა ყოველწლიურად და საჭიროების შემთხვევაში იცვლებოდა.

სესხები

ზოგადად, სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე. ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომსავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (მიღებული და გადახდილი საკომისიოების ჩათვლით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს) ან მოკლე პერიოდის განმავლობაში, ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებით. საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

იჯარა

ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე ხდება განსაზღვრა, მოიცავს თუ არა ეს უკანასკნელი იჯარას. ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარის, თუ შეთანხმების შესრულება სპეციფიკური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზეა დაფუძნებული, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე.

კომპანია, როგორც მემკვიდრე - კომპანიას საოპერაციო იჯარის ფარგლებში გაქირავებული აქვს გარკვეული აქტივი. საიჯარო ვადის განმავლობაში, საიჯარო შემოსავალი აღიარდება წრფივი მეთოდით მიმდინარე პერიოდის შემოსავლად და აღირიცხება „სხვა შემოსავლების“ მუხლში.,

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო ხარჯად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული, ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას

კომპანია, როგორც მოიჯარე - საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოსავლის აღიარება

კომპანიაში შემოსავლების აღიარება ხდება იმ მომენტში, როდესაც მოხდა პროდუქციის მიწოდება ან მომსახურების გაწევა, ვინაიდან კონტროლის გადაცემა ტრანზაქციისთანავე ხდება.

შემოსავალი აღირიცხება მიღებული ან მისაღები თანხის სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს წმინდა მისაღებ თანხებს, მიწოდებული საქონლისთვის ან გაწეული მომსახურებისათვის ფასდათმობის, საქონლის უკან დაბრუნების და დამატებული ღირებულების გადასახადების გათვალისწინებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით.

მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება ესტონური მეთოდის შესაბამისად.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში. გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათი შეძენისა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს და იმ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირების და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისთვის.

თუ მოხდა მარაგების გაუფასურება, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული

წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მომავალში ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე. იმ შემთხვევაში როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება, მაგრამ თუ არსებობს რაიმე ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების ან ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც თანახა წინასწარ იქნა გადახდილი, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარი გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, სადაზღვეო სისტემაში შენატანები, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და ყოველგვარი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაძლების სერვისის მიღება დასაქმებულთა მიერ.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები. კომპანია ახორციელებს შეფასებებსა და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება მოამზადა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის მიხედვით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

6. ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

7. ძირითადი საშუალებები

შპს „სპორტმშენსერვისის“ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ცვლილება:

დასახელება	ლარი			
	ნაშთი 01.01.2017	სადებეტო ბრუნვა	საკრედიტო ბრუნვა	ნაშთი 31.12.2017
ძირითადი საშუალებები				
მიწის ნაკვეთები	12,104,181	415,946	1,859,309	10,660,818
დაუმთავრებელი მშენებლობა		35,472,623		35,472,623
შენობები	32,737,789	41,178	165,720	32,613,247
მანქანა-დანადგარები	910,153			910,153
ოფისის აღჭურვილობა	1,075,386	17,220		1,092,606
ავეჯი და სხვა ინვენტარი	23,306			23,306
საგრანსპორტო საშუალებები	74,484			74,484
არამატერიალური აქტივები	7,649	2,436		10,085
ჯამი	46,932,947	35,949,403	2,025,028	80,857,321
ძირითადი საშუალებების ცვეთა				
შენობის ცვეთა	(197,941)		(1,501,328)	(1,699,269)
მანქანა-დანადგარების ცვეთა	(20,144)		(207,629)	(227,773)
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	(42,107)		(208,253)	(250,360)
ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა	(4,211)		(5,009)	(9,220)
საგრანსპორტო საშუალებების ცვეთა	(18,734)		(7,020)	(25,754)
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	(449)		(778)	(1,227)
ჯამი	(283,585)	-	(1,930,017)	(2,213,602)
სულ ძირითადი საშუალებები	46,649,362	35,949,403	95,011	78,643,719

8. არამატერიალური აქტივები

#	დასახელება	ლარი			
		ნაშთი 01.01.2017	სადებეტო ბრუნვა	საკრედიტო ბრუნვა	ნაშთი 31.12.2017
1	არამატერიალური აქტივები	7,649	2,436		10,085
2	არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	(449)		-778	(1,227)
	სულ	7,200	2,436	(778)	8,858

9. ავანსები

გაცემული ავანსები

ლარი

#	დასახელება	ნაშთი 01.01.2017	სადებეტო ბრუნვა	საკრედიტო ბრუნვა	ნაშთი 31.12.2017
1	მშენებლობისთვის მომწოდებლზე გადახდილი ავანსები		28110000	28110000	
1.1	ბეჰლენ ინლუსტრის საქართველო		28097000	28097000	
1.2	შპს ლენ & კომპანი		13000	13000	
1.3	გადახდილი ავანსები	100			100
2	სულ		28,110,000	28,110,000	

მიღებული ავანსები

ლარი

#	დასახელება	ნაშთი 01.01.2017	სადებეტო ბრუნვა	საკრედიტო ბრუნვა	ნაშთი 31.12.2017
1	მიღებული ავანსები	-	44127	44127	-
1.1	ააიპ "სპორტული კლუბი ნინო სალუქვაძე"	-	74	74	-
1.2	საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაცია	-	159	159	-
1.3	ი/მ ბიძინა სამუკაშვილი	-	137	137	-
1.4	ლალი ლეთოლიანი- ლამა	-	350	350	-
1.5	სოციალური დიალოგი სპორტში	-	30	30	-
1.6	შპს რეალ ენერჯი Real energy	-	127	127	-
1.7	შპს "DREAM LAND REAL ESTATE"	-	4000	4000	-
1.8	ერთი ანგ ტურიზმის ეროვნული აღმინისტრაცია	-	39250	39250	-
3	სულ	-	44127	44127	-

10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

ღირებულება ლარში

#	დასახელება	ნაშთი 01.01.2017	სადებეტო ბრუნვა	საკრედიტო ბრუნვა	ნაშთი 31.12.2017
1	სასაქონლო-მატერიალური მარაგი	64713	147157	157001	54870
1.1	საქონელი	146	54811	46863	8094
1.2	ნედლეული და მასალები	62732	76287	94497	44521
1.3	სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	1836	16059	15640	2255
1.3.1	ბენზინი	0	13409	13409	0
1.3.2	ნავთ.მზიმე ლისტილაგები	1836	2650	2231	2255
2	სულ მარაგები	64713	147157	157001	54870

11. სავაჭრო და სხვა დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი

#	დასახელება	ნაშთი 01.01.2017	სადებეტო ბრუნვა	საკრედიტო ბრუნვა	ნაშთი 31.12.2017
1	ვალდებულებები მიწოდებული პროდუქციიდან	84,583	37,583,204	42,882,186	5,383,565
2	სხვა ვალდებულებები	42,546	42,546		-
3	სულ	127,129	37,625,750	42,882,187	5,383,565

მოთხოვნები მიწოდებული პროდუქციიდან

ლარი

#	დასახელება	ნაშთი 01.01.2017	სადებეტო ბრუნვა	საკრედიტო ბრუნვა	ნაშთი 31.12.2017
1	სხვა სავაჭრო მოთხოვნები	350,616	3,419,516	3,295,468	474,664
3	სულ	350,616	3,419,516	3,295,468	474,664

12. ფულადი სახსრების მოძრაობა

ეროვნულ ვალუტაში

#	დასახელება	ნაშთი 01.01.2017	სადებეტო ბრუნვა	საკრედიტო ბრუნვა	ნაშთი 31.12.2017
1	მიმდინარე ანგარიში ბანკში, ლარში	2304885	32102521	20520803	13886602
2	ფულადი სახსრები სალაროში, ლარში	22510	884356	887301	19565
3	მიმდინარე ანგარიში ბანკში, უცხოურ ვალუტაში	12925988	61541283	70566340	3900931
6	სულ	15253383	94528160	91974445	17807098

13. საგადასახადო აქტივები/ ვალდებულებები

#	დასახელება	ნაშთი 01.01.2017	სადებეტო ბრუნვა	საკრედიტო ბრუნვა	ნაშთი 31.12.2017
1	საგადასახადო აქტივები	(3,398)	15,195,014	13,278,179	1,913,437
1	მოგების გადასახადი	39,148	248.02	255.22	39,141
1	სხვა საგადასახადო აქტივი	-42546	15194766	13277924	1,874,296
2	სულ	(3,398)	15,195,014	13,278,179	1,913,437

14. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარი შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღებია კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. „სპორტმშენსერვისის“ მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

15. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად

საკრედიტო რისკი. ზოგადად, საკრედიტო რისკი წარმოიშვება მაშინ, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის პროდუქციის კრედიტით მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანია მის მიერ აღებული საკრედიტო რისკების სტრუქტურირებას ახდენს კონტრაგენტების, ან კონტრაგენტების ჯგუფების მიმართ აღებული რისკისდ მოცულობაზე შეზღუდვების დადგენით. საკრედიტო რისკის შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ამგვარი რისკების მონიტორინგი განმეორებით ხდება და ექვემდებარება წლიურ, ან უფრო მეტი სიხშირით გადასინჯვას.

საბაზრო რისკი. ზოგადად, საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში, და (დ) სააქციო კაპიტალის პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკებისადმი მგძნობიარობა ეფუძნება ფაქტორში მომხდარ ცვლილებას, ხოლო სხვა ფაქტორები უცვლელად განიხილება. ნაკლები ალბათობა არსებობს, რომ ამას ადგილი ექნება პრაქტიკაში და ზოგიერთ ფაქტორში ცვლილებები შესაძლოა დაკავშირებული იქნეს, - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთსა და უცხოურ სავალუტო განაკვეთებში მომხდარ ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანია ექვემდებარება იმ ცვლილებების შედეგებს, რომელსაც ადგილი აქვს გავრცელებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში მისი ფინანსური მდგომარეობისა და ფულადი ნაკადების მიმართ. კომპანიას პროცენტის აქტივები მოიცავს ბანკის ვადიან დეპოზიტებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკი უმთავრესად განპირობებულია სესხით სარგებლობასთან. ფიქსირებული განაკვეთებით აღებული სესხების შედეგად კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რეალური ღირებულების რისკს.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის ისეთი რისკია, რომლის წინაშე იურიდიული პირი დგება მაშინ, როდესაც მას გააჩნია სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით.

კაპიტალის მართვა. კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს, ფუნქციონირება, რათა შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა.

კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

16. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიძლება გაიცვალოს გარიგების მსურველ მხარეებ შორის, გარდა იძულებული გაყიდვისა, ან ლიკვიდაციისა, და მისი საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფასი.

ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა კომპანიის მიერ, რომელმაც გამოიყენა ბაზარზე არსებული ინფორმაცია, მისი არსებობის შემთხვევაში, და შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგიები. თუმცა, საჭიროა განსჯის გამოყენება იმისათვის, რომ ინტერპრეტირებული იქნეს საბაზრო მონაცემები და განისაზღვროს შეფასებული რეალური ღირებულება. საქართველო კვლავ ამჟღავნებს ჩამოყალიბებადი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობებით კვლავ იზღუდება ფინანსურ ბაზრებზე აქტივობების მოცულობა. საბაზრო კვოტირებები შესაძლოა მოძველებული იყოს, ან ასახავდეს იძულებითი გაყიდვის ოპერაციებს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. ხელმძღვანელობამ გამოიყენა არსებული ყველა საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებიანი ინსტრუმენტების შეფასებული ღირებულება ეფუძნება მომავალში სავარაუდო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირების მეშვეობით, იმ ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც

ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

სავაჭრო და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. ზოგადად, ფიქსირებული დაფარვის ვადის მქონე მიღებული სესხების სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრება მოსალოდენლი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით იმ ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია. ნასესხები საშუალებების სავარაუდო რეალური ღირებულების შესახებ ინფორმაცია.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებას.

17. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შეფასების მიზნით ბასს 39-ში, *ფინანსური აქტივები: აღიარება და შეფასება*, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (ა) სესხები და დებიტორული დავალიანება; (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები; და (დ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის კატეგორიის მიხედვით (“FVთPL”). რეალური ღირებულებით მოცემულ ფინანსურ აქტივებს, მოგების ან ზარალის კატეგორიის მიხედვით, გააჩნიათ ორი ქვეკატეგორია: (ი) ამგვარად კლასიფიცირებული აქტივები, მათი საწყისი აღიარებისას, და (იი) ისინი, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც ვაჭრობისათვის გამიზნული.

18. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები შევიდა ძალაში 2017 წლის 1 იანვრიდან, „სპორტმშენსერვისს“ არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდთა განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. შესაბამისად, კომპანიას არ გააჩნია გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი

/თენგიზ ჯიქია/

მთავარი ბუღალტერი

/ნანა სულაბერიძე/

„სპორტმშენსერვისის“ მმართველობითი ანგარიში

1. შპს „სპორტმშენსერვისის“ შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სპორტმშენსერვისი“ (შემდგომში - „სპორტმშენსერვისი“) არის მეწარმე სუბიექტი იგი შექმნილია მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, რომელმაც სახელმწიფო რეგისტრაცია შესაბამისი წესით, სამეწარმეო რეესტრში გაიარა ვაკე-საბურთალოს სასამართლოს 1999 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით.

მისი დამფუძნებელი და კაპიტალში წილის 100%-ის მესაკუთრე პარტნიორია სახელმწიფო, წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახით.

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 15 მარტის №15/03/06 განკარგულებისა და 2013 წლის 25 მარტის ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს გადაეცა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული „სპორტმშენსერვისის“ 100% წილი მართვის უფლებით.

„სპორტმშენსერვისი“ არ წარმოადგენს საბიუჯეტო ორგანიზაციას, მისი საქმიანობა ძირითადად რეგულირდება მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით, საკუთარი წესდებითა და სხვა მოქმედი კანონმდებლობით, რომელიც არეგულირებს იურიდიული პირების (სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების) უფლებებსა და მოვალეობებს.

„სპორტმშენსერვისის“ კაპიტალის ფორმირება ხორციელდება პარტნიორის შენატანებით და საკუთარი აქტივობების მეშვეობით.

2. კაპიტალი (2013-2017 წლები)

გვინდა მოგახსენოთ „სპორტმშენსერვისის“ განვითარების დინამიკაზე 2013-2017 წლებში და განხორციელებულ საქმიანობაზე კომპანიის წარმატების მიზნით.

„სპორტმშენსერვისის“ მთლიანი აქტივები 2013-2017 წლების პერიოდში მკვეთრი ზრდით ხასიათდება, კერძოდ თუ 2013 წლის ბოლოს მთლიანი აქტივები 13,01 მილიონ ლარს შეადგენდა, 2017 წლის წინასწარი მონაცემებით ეს ციფრი 101,89 მილიონ ლარამდეა გაზრდილი (7.83-ჯერ). ამასთან 2016 წელთან შედარებით 2017 წლის ზრდამ 39,1 მილიონი ლარი ანუ 62,27 % შეადგინა. აქტივების დიდ ნაწილს შეადგენს „სპორტმშენსერვისის“ უძრავი ქონება. 2016 წელს ის შეადგენდა 44,42 მილიონ ლარს, ანუ მთლიანი აქტივების 71% და გრძელვადიანი აქტივების 95%-ს. 2017 წელს ის შეადგენდა 78.1 მილიონ ლარს, ანუ მთლიანი აქტივების 77% და გრძელვადიანი აქტივების 97%-ს. აღნიშნული განპირობებულია „სპორტმშენსერვისის“ დამფუძნებლის მიერ ფულისა და მიწის ნაკვეთების სახით განხორციელებული შენატანებით კაპიტალის ეტაპობრივი გაზრდით და შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნით.

კომპანიის მთლიანი აქტივები	თანხა (მილიონი)
2013	13.01
2014	35.27
2015	49.92
2016	62.79
2017	101.89

3. ვაკის ობიექტი

ვაკის 3 დარბაზიანი სპორტკომპლექსი (საკ.კოდი 01.14.07.008.014) აშენებულია და ექსპლუატაციაში შესულია 90-იან წლებში. იგი არის თანასაკუთრებაში. მიწის ფართი შეადგენს - 9 134.00 კვ/მ-ს, ხოლო შენობა-ნაგებობის ფართი - 6184,34 კვ/მ-ს. „სპორტმშენსერვისის“ ბალანსზე რიცხული ფართებიდან ძირითადი ნაწილი აუქციონის წესით გაცემულია იჯარით. ფართების შეფასებას ახორციელებს დამოუკიდებელი აუდიტორი და მასზე დაყრდნობით „სპორტმშენსერვისის“ იღებს გადაწყვეტილებას საბაზრო ღირებულების დაწესებასთან დაკავშირებით. აუქციონზე გატანის ნებართვას „სპორტმშენსერვისის“, რა თქმა უნდა აძლევს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ქონების მართვის სააგენტო.

2013-2014-2015 წლებში ჩატარდა 170 000 ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოები. აღნიშნულმა განაპირობა საიჯარო ფართების ღირებულების ზრდა საშუალოდ 50%-ით და შესაბამისად „სპორტმშენსერვისის“ შემოსავლების მატება.

4. ელექტრონული აუქციონები 2014-2017 წლებში

აუქციონები 2014-2017				
სახელობა/წლები	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
რაოდენობა	16	15	9	6
ფართი (კვ/მ)	2775,42	2363,39	1636,14	876,49

აქვე მოცემულია წლებისა და ობიექტების მიხედვით ელექტრონულ აუქციონებზე ინფორმაცია:

2014 წელი - ელ. აუქციონი გამოცხადდა 16 ჯერ გაიჯარდა (სამდარბაზიან სპორტ - ში): საოფისე - 726.49 კვ/მ; სპორტ. დარბაზი, გასახდელი - 1 258.52 კვ/მ; სამრეცხაო - 56 კვ/მ; ავტოფარები - 734.9 კვ/მ.

2015 წელი - ელ. აუქციონი გამოცხადდა 15 ჯერ გაიჯარდა (სამდარბაზიან სპორტ - ში): საოფისე - 1 333.38 კვ/მ; სპორტ. დარბაზი, გასახდელი - 1 030.01 კვ/მ.

2016 წელი - ელ. აუქციონი გამოცხადდა 9 ჯერ გაიჯარდა (სამდარბაზიან სპორტ - ში): საოფისე - 288.87 კვ/მ ; სპორტ. დარბაზი, გასახდელი - 460 კვ/მ; ავტოფარეხი - 536.63 კვ/მ;

გაიჯარდა (ოლიმპიურ სასახლეში): საოფისე - 135.54 კვ/მ; კაფე, სამზარეულო - 205.1 კვ/მ; კომერც. საქმიანობისათვის - 10 კვ/მ გაიჯარდა (ოლიმპიურ აუზზე): საოფისე - 19.3 კვ/მ;

კაფე, სამზარეულო 247.7 კვ/მ; კომერც. საქმიანობისათვის - 1 კვ/მ.

2017 წელი - ელ. აუქციონი გამოცხადდა 6 ჯერ გაიჯარდა (სამდარბაზიან სპორტ - ში): საოფისე - 532.47 კვ/მ; სპორტ. დარბაზი, გასახდელი - 290 კვ/მ; გაიჯარდა (ოლიმპიურ აუზზე): საოფისე - 54.02 კვ/მ.

5. ოლიმპიური ობიექტების მშენებლობა

2013 წლის მეორე ნახევარში შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისის“ დამფუძნებლის (სახელმწიფო), საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თბილისის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015“-ის ფარგლებში განხორციელებულიყო ორი მასშტაბური სამშენებლო პროექტი სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით. საუბარია ოლიმპიურ აუზსა და ოლიმპიურ სასახლეზე. ზემოაღნიშნული პროექტების განხორციელება დამფუძნებლისვე გადაწყვეტილებით დაევალა შ.პ.ს. „სპორტმშენსერვის“, რისთვისაც საქ. მთავრობის განკარგულებით მოხდა შესაბამისი ფულადი სახსრების გამოყოფა ორგანიზაციის კაპიტალის გაზრდის მიზნით.

იმის გათვალისწინებით რომ ვადები იყო ძალზედ შეზღუდული, „სპორტმშენსერვისის“ წინაშე იდგა ურთულესი ამოცანა რათა შესაძლებელი ყოფილიყო ობიექტების დროულად ექსპლუატაციაში შეყვანა და თბილისის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლობა.

ალბათ უმეტეს ჩვენთაგანს კარგად ახსოვს უამრავი სკეპტიკურად განწყობილი ადამიანის მოსაზრება იმის თაობაზე რომ ვერცერთ შემთხვევაში ვერ მოხერხდებოდა ობიექტების დროულად ექსპლუატაციაში შეყვანა. მიუხედავად ასეთი შეხედულებებისა ჩვენი კომპანიის სწორად დაგეგმილი სტრატეგიის, ტიტანური შრომისა და რა თქმა უნდა კონტრაქტორი კომპანიების პროფესიონალიზმის ხარჯზე მოხერხდა ფაქტიურად შეუძლებელი, რაც გულისხმობს თანამედროვე სტანდარტების ძალზედ მასშტაბური ორი ობიექტის პროექტირება მშენებლობის დასრულებას 10 თვეში და ღირსეულ მასპინძლობას თბილისის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისა.

ასევე უნდა აღვნიშნოთ რომ 2015 წელს აღნიშნულ მშენებლობებზე გაწეულ ხარჯებსა და გადარიცხვის მიზნობრიობაზე, ასევე „სპორტმშენსერვისის“ სამეწარმეო საქმიანობის 2015 წლის 6 თვის შედეგებზე დასკვნა მოამზადა ისეთმა აუდიტორულმა კომპანიამ, როგორიც არის შპს „ბიდიო“.

2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის დასრულების შემდეგ ჩვენი კომპანია აღმოჩნდა ახალი ურთულესი გამოწვევის წინაშე, ორი გრანდიოზული ობიექტი რომელსაც არ გააჩნდა არანაირი ისტორია და გამოცდილება უნდა გამხდარიყო ბაზრისთვის და შესაბამისი სეგმენტისთვის საინტერესო და მისაღები როგორც მომსახურების ხარისხის ისე ფასებთან მიმართებაში.

6. „ოლიმპიური სასახლე“

ოლიმპიური სასახლე აშენდა 2015 წელს თბილისში ჩატარებული ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში.

პირველ რიგში გვინდა მოგახსენოთ ოლიმპიური სასახლის ექსპლუატაციის კონცეფციის შესახებ, რომელიც წარმოადგენს ორდარბაზიან სპორტულ კომპლექსს სასარგებლო ფართობით 15 509.98 კვ/მ. ჩვენს მიერ მშენებლობის პროცესშივე დაიწყო ბაზრის მოკვლევა და შესწავლა, რის შემდეგაც დაიგეგმა სტრატეგია ობიექტის შემდგომი განვითარების მიზნით. განხორციელდა არაერთი შეხვედრა სხვადასხვა სპორტულ ფედერაციებთან და დაინტერესებულ სეგმენტთან, რის შედეგადაც 2015 წლის სექტემბრის ბოლო ს უკვე გაჩნდა პირველი კონტრაქტორები და დაიწყო შენობის დატვირთვა. 2015 წლის ბოლო კვარტლის შედეგების თანახმად ოლიმპიურმა სასახლემ შემოსავლის კუთხით 311 700 ლარიან ნიშნულს მიაღწია. 2015 წლის ბოლოსვე შევძელით გვემასპინძლა ისეთი დონის საერთაშორისო ტურნირისთვის როგორიცაა ფარიკაობის მსოფლიო თასი.

თანამედროვე სტანდარტების დაცვით აშენებულ ოლიმპიურ სასახლეში ორი დარბაზია მოწყობილი, სადაც ერთდროულად შესაძლებელია სპორტის სხვადასხვა სახეობების ტურნირების ჩატარება, როგორც სათამაშო, ასევე ინდივიდუალურ სახეობებში – ხელბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, ძიუდოში, ჭიდაობაში, მინი-ფეხბურთში, ფარაიკაობაში და ა.შ.

დიდი დარბაზი 2700 გულშემატკივარს, მცირე არენა კი 600 გულშემატკივარს იტევს. ორივე დარბაზი აღჭურვილია გასახდელებით, საშხაპეებით, სამედიცინო და დოპინგ-კონტროლის ოთახებით. სპორტულ კომპლექსში ასევე განთავსებულია:

- 150 ადამიანზე გათვლილი VIP ლაუნჯი,
- 100-120 ადამიანზე გათვლილი საკონფერენციო ოთახი
- 80-100 ადამიანზე გათვლილი მედიაოთახი
- სივრცე კაფისთვის
- სასტუმრო (9 ნომერი) სპორტულ კომპლექსს აქვს საკუთარი, 260 მანქანაზე გათვლილი პარკინგი.

განვითარება წლების მიხედვით:

სახელობა/წლები	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
ჩატარებული აქტივობა	11	47	46
შემოსავალი	311 700	1 185 810	1 478 671,64

2016 წლის მონაცემების თანახმად ოლიმპიური სასახლის შემოსავლები შეადგენს 1 185 810 ლარს, ზრდა წინა წელთან შედარებით 280%. 2016 წელს ოლიმპიურმა სასახლემ უმასპინძლა ჯამში 47 ღონისძიებას მათ შორის არაერთ საერთაშორისო ტურნირს, შიდა სპორტულ შეჯიბრებას და სხვადასხვა არასპორტული სახის ღონისძიებას. თითქმის სრულმა საკალათბურთო და ფუტზალის აქტივობამ გადმოინაცვლა ოლიმპიურ სასახლეში. მაყურებელთა და სპორტსმენთა ტრაფიკი საშუალოდ დღის განმავლობაში შეადგენდა 750-დან 1000-მდე ადამიანს. აქტივობის ასეთმა ზრდამ,

შენობის მოცულობის გათვალისწინებით, აუცილებელი გახდა დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა, რაც ძირითადად გამოიხატა სამეურნეო, ტექნიკური და უსაფრთხოების პერსონალის რაოდენობის ზრდაში. მენეჯმენტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა პერსონალის შერჩევა მათი გამოცდილებისა და გულისხმიერების გათვალისწინებით, რათა შენარჩუნებულიყო მომსახურების მაქსიმალურად მაღალი სტანდარტი.

2017 წლის მონაცემების თანახმად ოლიმპიური სასახლის შემოსავლები შეადგენს 1 478 671,64 ლარს, ზრდა წინა წელთან შედარებით 24,69%. 2017 წელს ოლიმპიურმა სასახლემ უმასპინძლა ჯამში 46 ღონისძიებას. ჩვენმა ორგანიზაციამ შეძლო შეენარჩუნებინა ყველა ძირითადი კონტრაქტორი და ასევე შევძელით ღირსეულად გვემასპინძლა ისეთი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გრანდიოზული ღონისძიებისთვის როგორც იყო „საბავშვო ევროვიზია 2017“. აღსანიშნავია რომ კომპლექსი მასპინძლობს ღონისძიებების ისეთ სახეობებს, რომელთათვის სპეციალური ლოკაციები არის მოწყობილი, მაგალითად:

- ჩოგბურთი (კორტები);
- ევროვიზია და სხვა და სხვა საკონცერტო სადამოები (მუსიკალური დაწესებულებები)
- ძიუდოს გრან პრი (ძიუდოს აკადემია)

3 წლიანი წარმატებული მუშაობის შედეგად, კომპლექსმა უმასპინძლა ისეთი დონის ტურნირებს როგორიც არის:

- ძიუდოს გრან პრი (2016,2017 და დაგეგმილია 2018 წელსაც)
- დევისის თასი (2016-2017 წლებში)
- ზამთრის თასი ფუტზალში (2017-2018 წლებში)
- ყველა ვარსკვლავის მატჩი (კალათბურთი)
- ფუტზალის ბიზნეს ლიგა
- მსოფლიო ჩემპიონატი ხელბურთში (ახალგაზრდული)
- უშუ - ევროპის ჩემპიონატი
- ფარიკაობის მსოფლიო თასი
- ევროპის ჩემპიონატი კარატეში მსაბავშვო ევროვიზია (2017) აქვე მოცემულია 2015-2017 წლების „ოლიმპიური სასახლი“-ს აქტივობების ცხრილი

„ოლიმპიურისასახლე“	
2015 წელი	
სულ ჩატარებული აქტივობები	სულ შემოსავალი

11		311700
№	მოსარგებლე	ღირებულება
1	კალათბურთის ერ. ფედერაცია	210000
2	საქართველოს ფარიკაობის ფედ.	40000
3	შპს "სპორტმენეჯმენტგრუპი"	2100
4	შპს "საკალათბურთო კლუბი რუსთავი 1991"	350
5	შპს "სბმ SBM"	21000
6	ააიპ "საკალათბურთო კლუბი ვითა"	2925
7	ააიპ "საქ. საუნივერსიტეტო სპორტ. ფედ."	4000
8	შპს "კავკასიური ინფრასტრ. ტექნ."	2625
9	ააიპ "საგარეჯო ფფ სუპერსტარზი"	11000
10	ააიპ "საქ. ჭიდაობის ერ. ფედ."	17350
11	ფ/პ გიორგი დუმბაძე	350
2016 წელი		
სულ ჩატარებული აქტივობები		სულ შემოსავალი
47		1185810
№	მოსარგებლე	ღირებულება
1	ააიპ "საქ. ჩოგბურთის ფედერაცია"	69000
2	კალათბურთი სერ. ფედერაცია	632925
3	შპს "სბმ SBM"	73750
4	ფ/პ სოფიო პეტრიაშვილი	2100
5	ააიპ "საკალათბურთო კლუბი ვითა"	7950
6	ააიპ "საქ. ხელბურთის ერ. ფედ."	99000
7	ააიპ "საქ. ფეხბურთის ფედერაცია"	56025
8	ააიპ "საქ. საუნივერსიტეტო სპორტ. ფედ."	19950
9	ააიპ "საქ. ძიუდოს ერ. ფედერაცია"	42760
10	ააიპ "საქ. ერ.ფედ. "სპორტი ყველასათვის"	10000
11	ააიპ "საქ. კონტ. კარატეს ერ. ფედ."	35570
12	შპს "ჰოლმსიდაუოტსონი"	175
13	ფ/პ ვალენტინა კუზმიდი	1350
14	ფ/პ ნინო წილოსანი	450
15	ააიპ "საკალათბურთო კლუბი მგზავრები-არმია"	1350
16	ფ/პ გიორგი თურქია	10000
17	ფ/პ მერტოზი	200
18	მოქ. პოლიტ. გაერთ. "ქართულიოცნება - დემოკ. საქ."	10000
19	ააიპ "საქ.-ისრაელის ბიზნესპალატა"	5500
20	ააიპ "საქ. ჭიდაობის ერ. ფედ."	85030
21	ფ/პ ზურაბ შამუგია	5000
22	ააიპ "სამოქ. ინიციატივა საზოგად. ჯანმრთ."	3500
23	ააიპ "საქ. პანკრ, გრენფ. და ბეთლ რეს. ერ. ფედ."	10000
24	ფ/პ "ვასილ კვანტალიანი"	700

25	შპს "გამომცემლობა პალიტრა L"	3000
26	შპს "სოკარ ჯორჯია გაზი"	525
2017 წელი		
	სულ ჩატარებული აქტივობები	სულ შემოსავალი
	46	1478671,64
№	მოსარგებლე	ღირებულება
1	კალათბურთის ერ. ფედერაცია	632880
2	შპს "სბმ SBM"	82800
3	ააიპ "საქ. ფეხბურთის ფედერაცია"	166925
4	ააიპ "საქ. ფეხბურთის ფედერაცია"	48000
5	შპს "ფუდსერვისი"	478,33
6	ააიპ "საქ. რაგბის კავშირი"	300
7	ააიპ "საქ. ხელბურთის ერ. ფედ."	112390
8	ააიპ "საქ. ჭიდაობის ერ. ფედ."	12000
9	ააიპ "საქ. საუნივერსიტეტო სპორტ. ფედ."	26250
10	ააიპ "საქ. უშუს ერ. ფედ."	93100
11	ი/მ ელენე ღუდუნიშვილი	273,32
12	ააიპ "საქ. ძიუდოს ერ. ფედერაცია"	50205
13	ლევან სამუშია	350
14	ი/მ ბიძინა სამუკაშვილი	204,99
15	ააიპ "საქ. საბრძოლო ხელოვნ. კონფედ."	4000
16	ააიპ "საქ. ფრენბურთის ერ. ფედ."	60000
17	სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"	22500
18	ააიპ "მოქალ. პოლიტ. გაერთ. "ევრ. საქ-მოძრ. თავის."	6340
19	შპს "Film Asylum"	225
20	სს "კრედობანკი"	1050
21	შპს "ვანილაივენთი"	1400
22	სსიპ "საქ. ტურიზმისერ. ადმინისტრაცია"	157000

2016 წელს მოხდა სრულად აღჭურვა ოლიმპიურ სასახლეში განთავსებული სასტუმროსი, რის შედეგადაც იმავე წელს შევძელით ვიზიტორების მიღება. ასევე ამავე წელს დაპროექტდა და ფუნქციონირება დაიწყო ოლიმპიური სასახლის ავტოსადგომმა. ოპტიმალურად გაწეულმა დანახარჯებმა შედეგად დაგვანახა და დღეისათვის როგორც სასტუმრო ისე ავტოსადგომი შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისის“ შემოსავლის ერთ-ერთი სტაბილური წყაროა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ რომ ოლიმპიური სასახლე თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, სადაც განთავსებულია უამრავი სველი წერტილი და დარბაზი მუდმივად დატვირთულია სახვადსახვა სპორტული აქტივობით, ამასთან ადამიანთა ზემოხსენებული ტრაფიკის გათვალისწინებით, სისტემატურად საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს, რასაც ვახორციელებთ კიდეც ხარისხის მაღალი სტანდარტის შენარჩუნების მიზნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მთელი ამ პერიოდის განმავლობაში თითქმის არც ერთი პრეტენზია არ მიგვიღია ჩვენი კონტრაქტორების მხრიდან და გვინდა სიამაყით განვაცხადოთ რომ ოლიმპიურ სასახლეში ხარისხი და მომსახურების მაღალი სტანდარტი „სპორტმშენსერვისის“ სავიზიტო ბარათად იქცა.

აქვე გვინდა გაგაცნოთ ოლიმპიური სასახლის კუთხით ფასწარმოქმნის პოლიტიკა. ღირებულების განსაზღვრა ხდება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ. განსაზღვრული ფასი ჩვენთვის ის მინიმუმია რომლის დაკლებაც შეუძლებელია. რაც შეეხება მატებას, ვითვალისწინებთ რომ აუცილებელი დანახარჯების გათვალისწინებით ღირებულება მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იყოს ყველა დაინტერესებული სეგმენტისთვის, რასაც ჩვენი აზრით ვაღწევთ კიდევ.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტის გათვალისწინებით გვინდა გაცნობოთ რომ ოლიმპიური სასახლით დაინტერესება როგორც მთელი განვლილი პერიოდის განმავლობაში ისე დღესაც მზარდია რაც დადებით ტენდენციას მიუთითებს.

7. ოლიმპიური აუზი

„ოლიმპიური აუზი“ (საკ.კოდი 01.72.14.009.354) აშენდა 2015 წელს, თბილისში ჩატარებული ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში. შესაბამისად ის აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს და მომხმარებელს უმაღლესი ხარისხის მომსახურებას სთავაზობს, როგორც სპორტული ტურნირების ორგანიზების, ასევე დამსვენებელთა მიღების კუთხით. აუზის მიწის ფართი შეადგენს - 19 603.00 კვ/მ, შენობა-ნაგებობის ფართი - I-II სართული 5 069.3 კვ/მ, ღია აუზის - 2375 კვ/მ, აუზის გარე პერიმეტრი - 2250 კვ/მ, დამხმარე ფართი I სართულზე -640 კვ/მ და საქვავზე 157 კვ/მ-ს.

საცურაო კომპლექსი აერთიანებს ორ ღია ტიპის აუზს და ერთ დახურულ „საჭყუმპალაოს“ ბავშვებისათვის. კომპლექსის ტერიტორიაზე განთავსებულია ორი სხვადასხვა ზომის სპორტული დარბაზი . აქვე მოცემულია მათი ზომები: ღია აუზი - 50*25მ და 35*25მ; საბავშვო დახურული აუზი - 12*3მ; ხოლო დარბაზის - 300 კვმ. და 144 კვმ. აუზში

ოლიმპიურ აუზს აქვს შესაძლებლობა უმასპინძლოს საწყალოსნო სპორტის ნებისმიერ სახეობას. ღია აუზების გარშემო განთავსებულია ტრიბუნები, რომლებიც გათვლილია 2160 მაყურებელზე. ზემოაღნიშნული მომსახურება ითვალისწინებს შშმ პირებსაც. ასევე ადმინისტრაციული შენობის პირველ და მეორე სართულზე განთავსებულია 15-მდე საოფისე და საკონფერენციო ოთახი, ხოლო კომპლექსის გარე ნაწილში 8 სასაწყობო ოთახი. აუზის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ღია და დახურული კაფე-ბარი.


ოლიმპიური აუზი თავისი შინაარსით წარმოადგენს სპეციფიურ ობიექტს იმის გათვალისწინებით რომ ძირითადი აუზები ღია ტიპისაა და მათი მომსახურება განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს.

ოლიმპიურმა აუზმა როგორც ზემოთ მოგახსენეთ ღირსეულად უმასპინძლა 2015 წლის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს, ხოლო სეზონური ფუნქციონირება 2016 წლის ივნისიდან დაიწყო.

„სპორტმენსერვისის“ მენეჯმენტისთვის ცხადი იყო, რომ ოლიმპიური აუზის მაქსიმალურად დატვირთვის გარეშე მისი სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება ისეთი ფინანსური „დარტყმა“ მიგვეღო, რომელიც მთლიანად კომპანიის შედეგებზე კატასტროფულად იმოქმედებდა.

როგორც სასახლის შემთხვევაში, აქაც პირველ რიგში დავიწყეთ შესწავლა ბაზარზე არსებული სიტუაციისა. კვლევების შედეგად დადგინდა რომ ამ შემთხვევაში საქმე უფრო რთულად იყო. რადგან ბაზარი სრულად ჰქონდა ათვისებული ქ. თბილისში არსებულ უამრავ საცურაო აუზს თანაც იმ ფაქტორების გათვალისწინებით რომ არსებული აუზების დიდი უმრავლესობა მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, ადვილად მისასვლელ ადგილას განსხვავებით ოლიმპიური აუზისა, რომელიც თავის მხრივ მდებარეობს დიღმის საცდელი საწრვთნელი მეურნეობის ტერიტორიაზე. გავმართეთ უამრავი შეხვედრა და მივიღეთ კონსულტაციები აღნიშნული სფეროს გამოცდილი ადამიანებისგან მათ შორის საწყლოსნო სპორტის ვეტერანებისგან. მიღებული ინფორმაცია არც თუ ისე სახარბიელო იყო, როგორც ირკვეოდა ოლიმპიური აუზის მსგავსი ღია ტიპის აუზების, მითუმეტეს მსგავსი გაბარიტული ზომებისა, მომგებიან ობიექტად ქცევა თითქმის წარუდგენელი იყო. თანაც იმ ფონზე რომ კონკურენცია უნდა გაგვეწია მსგავსი ტიპის ისეთი ობიექტებისთვის რომელთაც გააჩნდათ უდიდესი ისტორია და ცნობადები იყვნენ თითქმის მთელი მსგავსი მომსახურებით დაინტერესებული პირებისთვის. ოლიმპიურმა აუზმა მომხმარებელთა მასიური მიღება დაიწყო 2016 წლის პირველი ივნისიდან და მას შემდეგ საერთო ჯამში უმასპინძლა დაახლოებით 50,000მდე ვიზიტორს. აქედან 2500-მდე ბავშვი ირიცხებოდა აუზის ცურვის შემსწავლელ ჯგუფებში (იხილეთ დიაგრამა).

მომხმარებელთა დინამიკა:



დასაქმებულ პირთა დინამიკა:


დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ბაზრის მოკვლევის პრინციპით დადგინდა მომსახურებების მინიმალური ღირებულებები სხვადასხვა შეთავაზებებზე, ხოლო „სპორტმენსერვისის“ მენეჯმენტის

მიერ განისაზღვრა მომსახურებების შეთავაზების საბოლოო ფასები, სადაც სრულად გავითვალისწინეთ სოციალური საკითხი და ფასები განისაზღვრა გაცილებით დაბალი ვიდრე კონკურენტებისა. გარდა ამისა უმნიშვნელოვანესი იყო მომსახურების დონის მაღალი სტანდარტი, რაც უნდა გამოხატულიყო აუზების წყლის ხარისხში, ჰიგიენის ნორმების უმკაცრეს დაცვაში, უსაფრთხოების მაღალ დონეში და ასევე სხვა მომსახურებების მაღალ სტანდარტში. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით აუცილებელი გახდა კვალიფიციური კადრების დასაქმება ოლიმპიურ აუზზე და ორივე მხარისთვის მისაღები შრომის ანაზღაურების გადახდა. „სპორტმშენსერვისის“ თითოეული თანამშრომლის ჩართულობით და დაუღალავი შრომის ხარჯზე მიღწეულ იქნა ზემოჩამოთვლილი მოთხოვნები.

მომხმარებელთა ნაკადის ზრდასთან ერთად შესაბამისად იზრდება კადრების რაოდენობაც. სეზონის განმავლობაში ოლიმპიური აუზი იმატებს ჰიგიენის, ტექნიკური და ფინანსური სამსახურის თანამშრომლებს. ესენი არიან: აუზის შიდა და გარე პერიმეტრის დამლაგებლები, დაცვის სამსახურის თანამშრომლები, მაშველები, მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლები, უშუალოდ აუზის პერიმეტრისა და აუზის წყლის მომვლელები, მიმღებისა და კაფის მოლარეები, ექიმები, ექთნები, მზარეულები, ბარმენები და მიმტანები.

2017 წლის მაისიდან ოქტომბრამდე ოლიმპიურ აუზზე დასაქმებული იყო 82 თანამშრომელი. გთხოვთ, იხილოთ დიაგრამა:

2015-2017 წლებში დასაქმებულ პირთა დინამიკა



2016-2017 წლებში შეთავაზებული სერვისი:

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონკურენტული ბაზრის შესწავლის საფუძველზე დადგინდა ტარიფები (დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ). აბონემენტების ღირებულება 80 ლარიდან 260 ლარამდე

მერყეობდა, რაც საშუალებას გვაძლევდა აუზით სარგებლობა ხელმისაწვდომო გაგვეხადა როგორც მაღალი, ასევე დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონდე სეგმენტისათვის. ხოლო, ცურვის შემსწავლელი სპორტულ ჯგუფებში კი ღირებულება 45/60 ლარია. (თვეში 8-12 გაკვეთილი)

ყოველი ვიზიტორი ვალდებულია გაიაროს სამედიცინო შემოწმება, რაც შესაძლებელია როგორც ადგილზე კვალიფიციურ ექიმებთან, ასევე ფორმა 100-ის წარდგენის საფუძველზე. 2016 წლის 1 ივნისიდან აუზზე დაინერგა მომხმარებელთა დაშვების ახალი ელექტრონული სისტემა, რამაც გააუმჯობესა მომსახურების ხარისხი და მომხმარებელს შეუქმნა ერთგვარი კომფორტი. გთავაზობთ, 2017 წლის 1 მაისიდან მოქმედი აბონიმენტების დასახელებასა და ტარიფებს:

8 ვიზ. მოქნილიგრაფიკი	120 ლ
8 ვიზ. სამუშაოდღეები	80 ლ
8 ვიზ. სამუშაოდღეებილიმიტი 3 სთ	60 ლ
12 ვიზ. მოქნილიგრაფიკი	150 ლ
12 ვიზ. სამუშაოდღეები 3 სთლიმიტი	100 ლ
16 ვიზ. მოქნილიგრაფიკი	175 ლ
16 ვიზ. სამუშაოდღეები 3 სთლიმიტი	120 ლ
20 ვიზ. მოქნილიგრაფიკი	210 ლ
22 ვიზ. სამუშაოდღეები	145 ლ
ულიმიტო	260 ლ
ერთჯერადი	30 ლ

აუზი ფუნქციონირებს ყოველ დღე 07:00-დან 23:00-მდე. კომპლექსს აქვს რესურსი ერთდროულად უმასპინძლოს 600-მდე დამსვენებელს. აუზის ტერიტორიაზე განთავსებულია 6 სხვადასხვა ზომის გასახდელი ოთახი (604 კარადა) და საშხაპე (82 საშხაპე წერტილი). ასევე აუზის ტერიტორიაზე არის 43 სველი წერტილი.

შპს „სპორტმენსერვისი“ და კერძოდ „ოლიმპიური აუზის“ ადმინისტრაცია მაქსიმალურად ცდილობს დაიცვას ჰიგიენური ნორმების ყველაწიური სტანდარტი და მომხმარებელს გაუწიოს მაღალი ხარისხის მომსახურება. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად ერთ-ერთი მთავარი პირობაა აუზების წყლის სისუფთავის შენარჩუნება. ამისათვის ადმინისტრაცია მიმართავს ისეთ ზომებს როგორც არის: 24 საათის განმავლობაში წყლის ფილტრაცია და ცირკულაცია; რეგულარულად ხდება სხვადასხვა ქიმიკატებით წყლის დამუშავება; აუზის სამუშაო საათების დასრულების შემდეგ ხდება მისი სხვადასხვა საშუალებით დასუფთავება (რობოტებით, მტვერსასრუტით, ხელის ბადეებითა და სხვა საშუალებებით). მუდმივად ხდება ტემპერატურის კონტროლი და სტანდარტის დაცვის გათვალისწინებით ღია აუზზე შენარჩუნებულია სტაბილურად 27 გრადუსი, ხოლო საბავშვო აუზზე - 30 გრადუსი.


ადმინისტრაციის პრიორიტეტია მომხმარებელთა უმრავლესობისათვის კომფორტის შექმნა და შეძლებისდაგვარად მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ამისათვის აუზის ტერიტორია დაიყო გარკვეულ პოზიციებად და თითოეულ მათგანზე განაწილდა ჰიგიენისა და უსაფრთხოების თანამშრომლები. უშუალოდ აუზის ტერიტორიაზე მომხმარებელთა უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ სერთიფიცირებული მაშველები და დაცვის თანამშრომლები.

ოლიმპიური აუზი მდებარეობს ავტომაგისტრალიდან დაახლოებით 1კმ და 200მში, დიდი მანძილის გამო, მომხმარებლებს სურდათ სამარშუტო მიკროავტობუსის დანიშვნა, რისთვისაც „სპორტმშენსერვისმა“ მიმართა შესაბამის სამსახურს და დაკმაყოფილებულ იქნა ჩვენი მოთხოვნა. 2016 წლის აგვისტოდან დაინიშნა სამარშუტო ხაზი, რომელიც უახლოესი მეტრო სადგურიდან ახორციელებს მომხმარებელთა ტრანსპორტირებას ოლიმპიურ აუზამდე.

კვების ობიექტის აუცილებლობიდან გამომდინარე 2016 წლის 1 ივნისიდან აუზის ტერიტორიაზე ამოქმედდა კაფე-ბარი, რომელიც აუქციონის წესით იჯარით გადაეცა ერთ-ერთ კვების ობიექტს, ხოლო 2017 წლის 1 მაისიდან შპს „სპორტმშენსერვისმა“ თავად უზრუნველყოფდა როგორც ღია, ასევე დახურული კაფე-ბარის მუშაობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ოლიმპიური აუზის სრულ ექსპლუატაციაში შესვლის პირველივე წელს შევძელით რომ აუზი გვექცია წარმატებულ და კონკურენტუნარიან ობიექტად. 2016 წლის შემოსავლებმა შეადგინა 642 275.50 ლარი. აქვე აღსანიშნავია რომ ამავე წელს ვუმასპინძლეთ საწყლოსნო ფედერაციისა თუ სხვა საორგანიზაციო ჯგუფის მიერ გამართულ სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებს. საერთო ჯამში 2016 წელს ოლიმპიური აუზით ისარგებლა დაახლოებით 21500-მა ადამიანმა.


აუზის შემოსავლები 2016 - 2017 წლები



წინა წლის გამოცდილების გათვალისწინებით შევძელით რომ, 2017 წლის შედეგები გაცილებით უკეთესია. შემოსავლები 1 276 878.35 ლარი რაც წინა წელთან შედარებით 99%-ით მეტია. მომსახურეობა მიიღო დაახლოებით 49700-მა ადამიანმა, რაც წინა წელთან შედარებით

130%-ით მეტია. დანამდვილებით გვინდა გითხრათ რომ მომსახურების მაღალი სტანდარტი შენარჩუნებულია მოთხოვნა კი ზრდადი რაც ნათლად ჩანს ფინანსურ შემოსავალში.

კაფე-ბარი შემოსავალი და ხარჯები 2017 წელი



აქვე დავამატებთ რომ 2017 წელს შევძელით და საკუთარი ძალებით ავამუშავეთ ოლიმპიურ აუზზე არსებული ორი კვების ობიექტი, რაც როგორც უკვე აღვნიშნეთ წინა წელს იჯარით გვქონდა გაცემული. აღნიშნულმა მნიშვნელოვნად გაზარდა შემოსავალი, კერძოდ 2016 წელს იჯარიდან სულ შემოვიდა 12 125 ლარი ხოლო 2017 წლის წმინდა შემოსავალმა, ყველა ხარჯის გათვალისწინებით, შეადგინა 148 899.60 ლარი.

ჩვენი აზრით სწორმა მენეჯმენტმა, შრომამ და მომსახურების ხარისხმა შედეგი გამოიღო და დღეს ოლიმპიური აუზი ერთ-ერთი მოწინავეა ბაზარზე და მასზე წლიდან წლამდე მატულობს მოთხოვნა.

2018 წლისთვის დაგეგმილი სიახლეები

ოლიმპიური აუზის მომხმარებლისათვის კომფორტის შესაქმნელად, ვიზიტორების მოსაზიდად და შესაბამისად ფინანსური მოგების გაზრდის მიზნით საჭიროა კომპლექსის კაპიტალური ზრდა. გთავაზობთ ოლიმპიურ აუზზე განსახორციელებელ რამდენიმე პროექტს:

- 1) დაშვების სისტემის განახლება და სრული გადასვლა, როგორც ტურნიკეტის, ასევე კარადებისა და კაფეს ელექტრონულ სისტემაზე;

სრულად ელექტრონულ სისტემაზე გადასვლაში იგულისხმება ტურნიკეტის, კარადებისა და კაფეს პროგრამის განახლება და მათი ერთ სისტემაში მოქცევა. სამივე შემთხვევაში მომხმარებელის მიერ გამოყენებული იქნება ელექტრონული სამაჯური, რომელიც თავსებადია როგორც ტურნიკეტთან ასევე კარადებთან და კაფეს საგადასახადო სისტემასთან. ამით მომხმარებელს ექმნება მეტი

კომფორტი. თავად ტურნიკეტის პროგრამა საშუალებას მისცემს მოლარე ოპერატორს უმოკლეს დროში განახორციელოს სხვადასხვა ოპერაცია. აუზის ავტომატიზაცია უნდა შედგებოდეს „სპორტმშენსერვისის“ შიგნით მომუშავე მოდულებისგან, ინტერნეტ-გაყიდვისა და მომხმარებლის მიერ საკუთარი ანგარიშის მართვის სისტემისგან.

საკეტებისა და სამაჯურების ჯამური ღირებულება შეადგენს 80,000 ლარს, ხოლო პროგრამის ღირებულება შეადგენს წლიური მოგების 1%.

2) ფიტნეს დარბაზის მოწყობა;

აუზის ფუნქციონირების პერიოდში დაფიქსირდა მზარდი მოთხოვნა სატრენაჟორო დარბაზთან დაკავშირებით, რაც შესაძლებელია განხორციელდეს აუზის ტერიტორიაზე მდებარე ორი ალტერნატიული ფართის მეშვეობით (მეორე სართული - 280კვ.მ) .

ვიზიტორებისათვის დაწესდება ზონების შეზღუდვები ტურნიკეტის საშუალებით და ფიტნეს დარბაზით სარგებლობას მოახერხებს მხოლოდ ის მომხმარებელი, რომელსაც ექნება შეძენილი ამ მომსახურების აბონიმენტი. საერთო ჯამში ამ სერვისით გაიზრდება აუზის შემოსავალი დაახლოებით 30%-ით, რაც 2017 წლის სეზონის შემოსავლიდან გამომდინარე 382,482 ლარს შეადგენს, ხოლო ფიტნეს დარბაზის მოსაწყობად საჭიროა 200,000 ლარი $\pm 10\%$. ამ თანხაში შედის 10 სხვადასხვა სახის კარდით ტრენაჟორი, 21 სახის ძალისმიერი ტრენაჟორი და განსხვავებული წონის განტელები. ასევე მოსაწყობი იქნება ფიტნეს დარბაზის იატაკი, სპეციალური რბილი საფარით.

3) ჩვილი ბავშვების საწყემპალაო აუზი 2 თვიდან 3 წლამდე;

მომხმარებელთა თხოვნის გათვალისწინებით გათვალისწინდა აუზის ადმინისტრაციულ ნაწილში არსებულ ერთ-ერთ აუთვისებელ ოთახში განთავსდეს ჩვილი ბავშვების საწყემპალაო აუზი.

ჩვილი ბავშვების საწყემპალაო აუზი 2 თვიდან 3 წლამდე იქნება გათვლილი, რაც მოიცავს ბავშვების სპეციალური კამერებითა და საცვლებით წყალში ჩაყვანას. პარალელურად მასაჟისტის მიერ ჩატარდება სხვადასხვა პროცედურები. აუზი ასევე იქნება აღჭურვილი ჰიდრო მასაჟის მიმღები სისტემით. წყლის ფილტრაცია მოხდება იონიზაციის მეშვეობით, რაც სრულად უზრუნველყოფს წყლის სისუფთავეს და არის ჩვილი ბავშვებისათვის ყველაზე უსაფრთხო წყლის ფილტრაციის მეთოდი.

გაკვეთილის ხანგრძლივობა შეადგენს 30 წუთს. მცირე ზომის აუზს ექნება საშუალება ერთდროულად მოემსახუროს 4 ბავშვს.

ერთი ვიზიტის საფასური ბაზარზე შეადგენს საშუალოდ 30 ლარს, ხოლო მიმდინარე ხარჯი ერთ ბავშვზე დაახლოებით 10 ლარია (კომუნალურ ხარჯს დამატებული ექიმ-მასაჟისტის ანაზღაურება).

პროექტის განსახორციელებლად საჭიროა 10,000 ლარი $\pm 10\%$.

4) ავტოსამრეცხაო;

გთავაზობთ კიდევ ერთ პროექტს ავტო-სამრეცხაოს სახით:

ვიზიტორი მისაღებში სპეციალურად განთავსებულ დახლოებულ რეცხვის საფასურს ავტოსამრეცხაოს ადმინისტრატორთან - დატოვებს მანქანის გასაღებს, დაასახელებს მანქანის ნომერსა და ავტოსადგომზე მანქანის ადგილმდებარეობას. ვიზიტორი ასევე ასახელებს აუზიდან გამოსვლის სავარაუდო დროს. ადმინისტრატორი ახდენს მანქანის სამრეცხაომდე მიყვანას და ავტომობილის დასუფთავების შემდეგ მის სპეციალურ სადგომზე გადაყვანას. ამ სერვისით მომხმარებელი დაზოგავს დროს. მომსახურების თანხა: 12 ლარი მსუბუქი ავტომობილი, 16 ლარი ჯიპი.

საშუალოდ დღეში 10 მანქანის გარეცხვის შემთხვევაში (7 მსუბუქი, 3 ჯიპი), თვის განმავლობაში შემოსავალი შეადგენს 3960 ლარს. საიდანაც ხელფასი, კომუნალური და სარეცხი საშუალებების ხარჯი იქნება 1542 ლარი. ერთი ავტომობილის დასუფთავების დრო შეადგენს 30-40 წუთს.

კერხერი - 1 ცალი	4000 ლარი
მტვერსასრუტი - 1 ცალი	700 ლარი
ქაფის ბალონი - 1 ცალი	250 ლარი
მრეცხავის ინვენტარი	400 ლარი
ელ.ენერგიის წყაროს მიყვანა	200 ლარი

სრული startup ხარჯი: 5550 ლარი. პროექტი რენტაბელური გახდება მინიმალური დატვირთვით 2 თვეში.

5) ბუნგალოს ტიპის კაფე გარე აუზზე

აუზების ტერიტორიაზე შესაძლებელია განთავსდეს დიდი ზომის ღია ბუნგალოს ტიპის ბარი. პერიმეტრის ბოლო ნაწილში სეზონის განმავლობაში მონტაჟდება დიდი ზომის ვიდეო მონიტორი, სადაც ხდება სხვადასხვა სპორტული და გასართობი ღონისძიებების ტრანსლაცია. ბუნგალო-კაფე იქნება განთავსებული მონიტორთან ახლოს, საიდანაც მომხმარებელს შესაძლებლობა მიეცემა თვალყური ადევნოს აღნიშნულ გადაცემებს. აუზის ჰიგიენური ნორმების დაცვიდან გამომდინარე მოხდება მხოლოდ გამაგრილებელი და დაბალ ალკოჰოლური სასმელების გაყიდვა. საჭიროა მოხდეს არსებული კედლების დემონტაჟი, რადგან შეიქმნას ღია სივრცე და მაქსიმალური ვიზუალური წვდომა ბუნგალოსა და აუზს შორის. აღნიშნული ბუნგალო-ბარი იქნება მაქსიმალური განტვირთვის საშუალება. ბარის დახლი მოეწყობა ისე, რომ მომხმარებელს არ მოუხდეს რიგში დგომა და მოხდეს მათი მოხილვითი მომსახურება, რაც საბოლოოდ აისახება „სპორტმშენსერვისის“ შემოსავალზე.


პროექტის სრული ღირებულება შეადგენს დაახლოებით 60,000 ლარს. ამ თანხაში შედის საჭირო ფილების დაგება, კედლების დემონტაჟი და მათი ამოყვანა, კოსმეტიკური რემონტის ხარჯი, ბუნგალოს პერიმეტრის სპეციალური გარედამცავი ქაღალუხის მონტაჟი და ბარის დახლის მოწყობა.

გთხოვთ, იხილოთ ფილების მოწყობისა და კედლების დემონტაჟის ხარჯთაღრიცხვის ცხრილი:

№	დასახელება	განზ	რაოდ	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი		სულ
				ფასი	ჯამი	ფასი	ჯამი	ფასი	ჯამი	
	სამშენებლო სამუშაოები									
1	არსებული ტიხრების დემონტაჟი	მ2	110		0	2	220		0	220
2	რკ-ბ ფილის მოწყობა სისქით 20სმ	მ2	156		0	22	3432		0	3432
3	არმატურა დ-14	ტნ	3,3	1500	4950	50	165	20	66	5181
4	არმატურა დ-12	ტნ	1,45	1500	2175	50	72,5	20	29	2276,5
5	გლიზულა დ-8	ტნ	0,18	1620	291,6		0		0	291,6
6	ბეტონი B-20	მ3	32	125	4000		0	5	160	4160
7	საყალიბე ფარი	მ2	160	5	800	1,5	240	0,5	80	1120
8	დამხმარე მასალა	კვ	36,61	7	256,3	5	183,1	2	73,22 6	512,58 48
9	ტიხრის წყობა ბლოკით 20*20*40	მ2	30	15	450	7	210	1	30	690
10	ლესვა ქვ/ც ხსნარით	მ2	30	3	90	7	210	1	30	330
11	სარემონტო წარჩენების ჩატანა, დატვირთვა და გადაყრა წაგავსაყრელზე	ტნ	20		0	50	1000	20	400	1400
	ჯამი				13013		5733		868	19614
	გაუთვალისწინებელი ხარჯი	3%								588

8. შპს „სპორტმშენსერვისის“ კადრები

დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობა (შტატით და შტატგარეშედ)



2014 წელი:

შ.პ.ს „სპორტმშენსერვისში“ 2014 წელს დასაქმებული იყო 22 ადამიანი შტატით და 5 შტატგარეშედ. სახელფასო ფონდი შეადგენდა შტატიან თანამშრომლებზე - 311212,35 ლარს, ხოლო შტატგარეშე თანამშრომლებზე - 3962,93 ლარს. პრემიის ფონდმა შეადგინა 185427,2 ლარი. ასევე გაიცა

დანამატები თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და დამატებითი სამუშაოს შესრულებაზე - 2830,95 ლარი.

2015 წელი:

როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ 2015 წლის ზაფხულში დასრულდა ორი ოლიმპიური შენობის (ოლიმპიური აუზისა და ოლიმპიური სასახლის) მშენებლობები. ოლიმპიადის დასრულების შემდეგ, აღნიშნული შენობებით კაპიტალის გაზრდამ გამოიწვია კადრების გაზრდა და დამატებით ადამიანების დასაქმება, როგორც შტატით ასევე შტატგარეშედ. მოგეხსენებათ, რომ შ.პ.ს „სპორტმშენსერვისი“-ს სამუშაო საათებია 10:00-18:00, თუმცა დაქვემდებარებული ობიექტების (ოლიმპიური სასახლე, ოლიმპიური აუზი) განსხვავებული დატვირთვიდან გამომდინარე, ამ ობიექტზე დასაქმებული კადრების სამუშაო გრაფიკებიც შესაბამისად სპეციფიურია. "ოლიმპიურ სასახლეში" შტატით დასაქმებული ტექნიკური თანამშრომლების სამუშაო საათები და სამუშაო დროის ხანგრძლივობა, პირდაპირ პროპორციულად დამოკიდებულია დარბაზებისა და სასტუმროს დატვირთვაზე. ტექნიკური პერსონალი (ელექტრიკოსი, მთავარი სანტექნიკოსი, მთავარი ელექტრიკოსი, გათბობა-კონდეცირება-ვენტილაციის სპეციალისტი) გარდა მათ მიერ შესასრულებელი პოზიციის შესაბამისი სამუშაოსი, ითავსებენ ისეთ სამუშაოს როგორც არის: კალათბურთისა და ფეხბურთის კარების მონტაჟი/დემონტაჟი (რათა დარბაზი გადაეწყოს შესაბამისი სპორტის სახეობისათვის); გახმოვანების აპარატურის, ტაბლოსა და ვიდეო ეკრანის გამართულობის კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში ხარვეზების გამოსწორება; ფედერაციების მიერ მოთხოვნილი საჭირო ინვენტარის (სკამები, მაგიდები, "პედესტალი" და ა.შ.) მითითებულ ადგილებზე განთავსების უზრუნველყოფა, მოედანზე საფარის დაგება (საჭიროების შემთხვევაში) და ა.შ. ასევე შტატგარეშედ დასაქმებული ჰიგიენის თანამშრომლები (10 დამლაგებლები) ახორციელებენ ისეთ სამუშაოებს, როგორც არის: 1500 კვ.მ ორი დარბაზის დასუფთავება, ტრიბუნების (2800 სკამი) დასუფთავება, 10 გასახდელისა და საშხაპის დასუფთავება, ფიტნესის დარბაზის, ვიპ ლაუნჯების, მედია სართულისა, სამედიცინო კაბინეტებისა და მსაჯთა ოთახების დასუფთავება როგორც თამაშებს შორის წყვეტების დროს, ასევე დღის დასრულების შემდეგ. აღნიშნული ჰიგიენის თანამშრომლები შტატგარეშედ არიან დღიურად დასაქმებულნი და შესაბამისად მათი დატვირთვა დამოკიდებულია დარბაზების დაკავებაზე.

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტორს, რომ თვის განმავლობაში ოლიმპიურ სასახლეში მოძრავი ტრაფიკი დაახლოებით 25000-28000 ადამიანს შეადგენს, რაც რაღათქმაუნდა პირდაპირ დაკავშირებულია დამლაგებელთა რაოდენობასთან და სახელფასო ხარჯთან.

ასევე აღსანიშნავია, რომ შტატით დასაქმებული ჰიგიენის თანამშრომლები (დამლაგებლები) გარდა საოფისე ფართების დალაგება/დასუფთავებისა, იმ შემთხვევაში თუ ხდება სასტუმროს დატვირთვა, ემსახურებიან სტუმრებს და ახორციელებენ ისეთ დამატებით სამუშაოს, როგორც არის: ნომრების მოწესრიგება, პირსახოცების შეცვლა, თეთრეულის შეცვლა, გასარეცხი ნივთების მომზადება, რათა მოხდეს მათი დასუფთავება.

იქედან გამომდინარე, რომ „სპორტმშენსერვისში“ დასაქმებულ პირებს შრომითი ხელშეკრულებები უფორმდებათ შრომის კოდექსის გათვალისწინებით, მათი სამუშაო საათები განსაზღვრულია ძირითადად კვირაში არაუმეტეს 40 საათის ოდენობით. შესაბამისად მათი ზეგანაკვეთური სამუშაოები განაპირობებს დანამატებისა და პრემიების გაცემას. შესაბამისად 2015 წლის საკადრო მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

შტატით დასაქმებულები 2015 წელი		
დასაქმებულთა რ-ბა	სახელფასო ფონდი	პრემია/ დანამატი/ დამატებითისამუშაო
31	469812,13	147814,5

შტატგარეშედ დასაქმებულები 2015 წელი

დასაქმებულთა რ-ბა	სახელფასო ფონდი	პრემია/ დანამატი/ დამატებითისამუშაო
44	111161,11	0

ასევე გვინდა აღვნიშნოთ, რომ შ.პ.ს „სპორტმშენსერვისის“ მიერ ჩატარდა ბაზრის მოკვლევა დაცვის სამსახურების მომსახურეობის ღირებულების დასადგენად და ხარჯების შემცირების მიზნით „სპორტმშენსერვისმა“ გადაწყვიტა უსაფრთხოების სამსახურის შექმნა და დაცვის თანამშრომლების შრომითი ხელშეკრულებებით დასაქმება. მაგალითად: დაცვის სამსახურის მიერ მოწოდებული ინვოსისი მიხედვით, სამივე ობიექტის მომსახურეობის თვიური ღირებულება შეადგენს - 30200 ლარს, ხოლო ჩვენი კომპანიის უსაფრთხოების სამსახურის (შტატით და შტატგარეშედ) ყოველთვიური სახელფასო ხარჯი შეადგენს - 20815 ლარს.

2016 წელი:

2016 წელს კომპანია „სპორტმშენსერვისმა“ პირველი სეზონური გახსნა გააკეთა „ოლიმპიური აუზის“. აღნიშნულმა შესაბამისად გამოიწვია ახალი კადრების დასაქმება როგორც შტატით, ასევე შტატგარეშედ. გამომდინარე იქედან, რომ აუზი მუშაობს 07:00-23:00 საათამდე და ამას ასევე ემატება ის ფაქტორიც, რომ შაბათ-კვირა აუზის მომხმარებლებიდან გამომდინარე კვირის დღეებზე უფრო დატვირთულია, "ოლიმპიურაუზზე" დასაქმებულია დამინისტრაციული რგოლის შტატთან თანამშრომლების სამუშაოსათეხი, გაორმაგებულია და ნაცვლად კვირაში განსაზღვრული 40 სამუშაო საათისა იგი ხშირ შემთხვევაში თითქმის 100 საათს შეადგენს.

ასევე აღსანიშნავია შტატგარეშედ დასაქმებული თანამშრომლების დატვირთვა:

1. მოლარე-ოპერატორები - ნაცვლად დღეში განსაზღვრული 8 საათიანი სამუშაოსი, მათ ხშირ შემთხვევაში უწევთ დღეში ზედმეტად 2-3 საათი მუშაობა, რადგან სალაროსა და პროგრამის გადაბარების პროცედურები ხშირ შემთხვევაში განსაზღვრულზე უფრო მეტად ხანგრძლივდება.

2. ჰიგიენის თანამშრომლები - მომხმარებელთა საკმაოდ დიდი ტრაფიკიდან გამომდინარე (დღეში საშუალოდ 700 ვიზიტორი), ამ პოზიციაზე დასაქმებული თანამშრომლები, სრული 8 საათის განმავლობაში შეუჩერებლად ახორციელებენ 6 პოზიციის დასუფთავებას: ქალების გასახდელეები, კაცების გასახდელეები, ბავშვების გასახდელეები - გოგოები, ბავშვების გასახდელეები - ბიჭები, აუზის „პლაჟის“ ტერიტორია, ადმინისტრაციული შენობა.

3. უსაფრთხოების თანამშრომლები (დაცვა, მაშველები) - ანალოგიურად დატვირთული გრაფიკი აქვთ უსაფრთხოების სამსახურში შემავალ თანამშრომლებს, რადგან მათი პასუხისმგებლობის ქვეშ დგას ვიზიტორების უსაფრთხოების, ჰიგიენური ნორმების დაცვისა თუ სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

4. ტექნიკური პერსონალის სამუშაო საათების ხანგრძლივობა განპირობებულია „ოლიმპიური აუზის“ სპეციფიური სამუშაო საათებიდან და ასევე ყოველდღიური მუშაობიდან გამომდინარე. სწორედ მათ პასუხისმგებლობაზეა ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი რომელიც „ოლიმპიური აუზი“-ს წარმატებასა და მომხმარებლების კმაყოფილებას განაპირობებს - წყლის სისუფთავე. ტექნიკური პერსონალი პირველი ვიზიტორის შემოსვლიდან ბოლო ვიზიტორის გასვლამდე აკონტროლებს ისეთ დეტალებს, როგორიცაა, დუშებში წყლის ტემპერატურის სტანდარტულობასთან შესაბამისობა, განათება, აუზის ქიმიკატებისა და სისუფთავის კონტროლი და ა.შ.

5. ინსტრუქტორები - მართალია მათი სამუშაო გრაფიკი შრომის კოდექსით გათვალისწინებულ 40 საათს კვირაში იშვიათად აღემატება, თუმცა ამ სამუშაო საათების განმავლობაში მათ უწევთ უდიდესი პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე და ერთდროულად 45 წუთის განმავლობაში 16 ბავშვის უსაფრთხოების კონტროლი.

ასევე აღსანიშნავია, რომ თითოეული „ოლიმპიურ აუზზე“ დასაქმებული თანამშრომელი პარალელურად არ ერიდება ისეთი სამუშაოს შესრულებას, როგორიც არის ვიზიტორებისათვის შეზღოვნების, ქოლგების, საფერფლეების მიტანა, რათა მომხმარებელთა კმაყოფილების დონე არ დაეცეს და შენარჩუნებული გვქონდეს.

„ოლიმპიურ სასახლეში“ სხვადასხვა სპორტის სახეობის სპორტსმენთა ვარჯიშებისა თუ თამაშების დროს, ხშირად წარმოიშობა სარემონტო სამუშაოები, მაგ: შესაღები კედლები - განპირობებული ბურთების კედლებზე მიხეთქებით; დასაგები მეტლახები - განპირობებული მოედნის გადაწყობის დროს მძიმე საგნების (კალათბურთის ფარები, ფეხბურთის კარები და ა.შ) გადაადგილებით;

გასახდელეების დაზიანებული კარებისა და კარადების აღდგენა - განპირობებული დამარცხებული სპორტსმენების მიერ დაზიანებით (ხარჯის ანაზღაურება ეკისრება ფედერაციას) და სხვა მსგავსი მიზეზების გამო ამ კონკრეტულ საქმიანობაზე საჭირო ხდება შტატგარეშედ დროებითი კადრების დასაქმება.

ასევე „ოლიმპიურ აუზზე“ ჩატარდა გარკვეული სარემონტო თუ დასუფთავებითი სამუშაოები, რამაც გამოიწვია დამატებითი შტატგარეშე თანამშრომლების აყვანა. მათ შეასრულეს

ისეთი სამუშაოები, როგორც არის სახტომი 6 მეტრიანი აუზის ბსკერის მასიური ნაგავისგან გაწმენდა (აკვალანგისტები); აუზის „პლაჟის“ ტერიტორიაზე არსებული სათავსოს კვების ობიექტად გადაკეთება; შენობის გარე პერიმეტრზე არსებული ბალახის გაკრეჭვა და ა.შ.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 2 აგვისტოს №1564 განკარგულების ფარგლებში, 2016 წელს კომპანია „სპორტმშენსერვისმა“, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან და კანადურ კომპანია „Behlen Industrris L.P.“-სთან ერთად მთავრობის განკარგულების ფარგლებში 4 ოქტომბერს გააფორმა №160 ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ქ.თელავში, ქ.გორში და ქ.ბათუმში ორდარბაზიანი მულტიფუნქციური სპორტის სასახლეების მშენებლობას. „სპორტმშენსერვისს“ დაევალა აღნიშნული ობიექტების ზედამხედველობა. რამაც გამოიწვია ინფრასტრუქტურის სამსახურის შექმნა და კადრების დამატება როგორც შტატით ასევე შტატგარეშედ (3 თანამშრომელი შტატით, 6 თანამშრომელი შტატგარეშედ).

შესაბამისად 2016 წლის საკადრო მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

შტატით დასაქმებულები 2016წელი

დასაქმებულთა რ-ბა	სახელფასო ფონდი	პრემია/ დანამატი/ დამატებითისამუშაო
56	653737,5	561587,5

შტატგარეშედ დასაქმებულები 2016 წელი


დასაქმებულთა რ-ბა	სახელფასო ფონდი	პრემია/ დანამატი/ დამატებითისამუშაო
94	566588,98	0

2017 წელი:


2017 წელს შ.პ.ს „სპორტმშენსერვისმა“ „ოლიმპიური აუზი“ სეზონურად მეორედ გახსნა და 2016 წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით. მაგ: შემოსავლების გაზრდის მიზნით, კვების ობიექტის იჯარით გაცემის

ნაცვლად „სპორტმშენსერვისმა“ საკუთარი სახსრებითა და დამატებითი კადრების დასაქმებით მოახდინა მისი ამუშავება; აუზის „პლაჟზე“ მოწყობილ კვების ობიექტს (მხოლოდ სასმელისა და ნაყინის რეალიზაცია) დაემატა ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე მეორე კაფე, სადაც შესაძლებელი იყო საკვების მიღება („პლაჟი“-ს საკვები პროდუქტით დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით); მიმღებში რიგებისა და შესაბამისად მომხმარებელთა უკმაყოფილების თავიდან აცილების მიზნით დაემატა 2 მოლარე-ოპერატორი (სმენაში 4 მოლარე-ოპერატორი; სულ დღეში - 8 მოლარე-ოპერატორი); გასაღებებისა და პირსახოცების კონტროლისა და დანაკარგით გამოწვეული ხარჯების შემცირების მიზნით დაემატა მონიტორინგის კადრები; სამედიცინო კაბინეტში შემოწმების დროის ოპტიმიზაციის მიზნით თითოეულ ექიმს დამხმარედ დაენიშნა ერთი ექთანი. შესაბამისად 2017 წლის საკადრო მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

2017 წელი შტატით



2017 წელი შტატგარეშე



კადრების შეჯამება და დინამიკა 2014-2017 წლებში

შტატიანი თანამშრომლები (ხელფასი, პრემია/დანამატი)

წლები/კატეგორია	ხელფასი	პრემია/დანამატი
2014 წელი	311 212,35	188 258,15
2015 წელი	469 812,13	151 717,53
2016 წელი	653 737,50	561 587,50
2017 წელი	947 075, 00	602 156,80

შტატგარეშე თანამშრომლები (ხელფასი, წახალისება, დანამატი)

წლები/კატეგორია	ხელფასი	წახალისება	დანამატი
2014 წელი	3 962,93		
2015 წელი	111 161,11		
2016 წელი	566 588,98		46 755,69
2017 წელი	637 674,50	14 562,50	29 807,19


2. „სპორტმშენსერვისის“ შესყიდვები 2014-2017 წლებში

სახეობა/წლები	2014	2015	2016	2017	სულ
გამარტივებული ელ.	2	8	27	21	58
ელექტრონული	6				6
კონსოლიდირებული	5	5	13	5	28
გამარტივებული შესყ.	143	210	359	317	1029


„სპორტმშენსერვისის“ განუხრელად იცავს სახელწიფო შესყიდვის შესახებ მოქმედ კანონმდებლობას, შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ არ დაფიქსირებულა „სპორტმშენსერვისის“ მხრიდან არც ერთი დარღვევა ან/და გადაცდომა და სააგენტოსგან მიღებული რამდენიმე კორესპონდენცია აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ეხება მხოლოდ დამატებითი ინფორმაციის მიღების საჭიროებას.

მოქმედი სახელმწიფო შესყიდვების სისტემის პერიოდში 2010 - დღემდე დავების განხილვის საბჭოში „სპორტშენსერვისთან“ დაკავშირებით .

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებული შესყიდვები 2014-2017 წლებში (ლარი)



კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელებული შესყიდვები 2014-2017 წლებში (ლარი)



გამარტივებული ელექტრონული და ელექტრონული
ტენდერები 2014-2017 წლებში (ლარი)



10. „სპორტმენსერვისის“ ფინანსური ნაწილი

აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურა 2013-2017 წლების ჭრილში მოყვანილია ცხრილში:

შპს „სპორტმენსერვისის“ შემოსავლების წყაროა კომპანიის რესურსებითა და აქტივებით სამეწარმეო საქმიანობა. 2016 წელს შემოსავალმა (დღგ-ს გარეშე) შეადგინა 2 924 741 ლარი, რაც 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 1 918 137 ლარით, ანუ 2,9-ჯერ აღემატება. 2017 წლის წინასწარი მონაცემებით მთლიანმა შემოსავალმა შეადგინა 3 037 023 ლარი, რაც 2016 წელთან მიმართებაში 112 282 ლარით, ანუ 3,83% მეტია. სტრუქტურულად 2016 და 2017 წლების შემოსავლები შედგება:

2016 წლის შემოსავლების სტრუქტურა



2017 წლის შემოსავლების სტრუქტურა



შპს „სპორტმშენსერვისის“ 2016 წლის ხარჯებმა 2 884 167 ლარი შეადგინა, რაც 2015 წლის მაჩვენებელს 1707665 ლარით, ანუ 2,45-ჯერ აღემატება. 2017 წლის ხარჯებმა 3 508 809 ლარი შეადგინა, რაც 2016 წლის მაჩვენებელზე 624 642 ლარით, ანუ 21,65%-ით მეტია.

„სპორტმშენსერვისის“ წლის ბიუჯეტს (ბიზნეს-გეგმას) ადგენს და დასამტკიცებლად (კორექტირებების ჩათვლით) წარუდგენს დამფუძნებელს/წილის მმართველს, განვლილი ფინანსური წლის შედეგების, მომავალი წლის მოსალოდნელი საწარმოო შემოსავლებისა და ხარჯების, ასევე ინფრასტრუქტურული პროექტების გათვალისწინებით. კერძოდ, მიმდინარე პროექტების მომსახურების აუცილებლობიდან გამომდინარე ხარჯები მიმართულია აქტივების რაციონალური ექსპლოატაციის უზრუნველსაყოფად, სპორტული კომპლექსების გამართული ფუნქციონირების შესაძლებლობის შენარჩუნებასა და „სპორტმშენსერვისის“ დაკვეთითა და ზედამხედველობით მიმდინარე სამშენებლო პროექტების განსახორციელებლად.

მიუხედავად აღნიშნულისა, 2017 წელს „სპორტმშენსერვისმა“ მისგან დიდწილად დამოუკიდებელი მიზეზებით გაიღო დაუგეგმავი და კომერციულად არა სასარგებლო ხარჯები 363 625 ლარის ოდენობით, ხოლო დაგეგმილიდან ვერ მიიღო 653 438 ლარის შემოსავალი. ანუ ჯამში მოგება/ზარალში სხვაობამ 1 017 063 ლარი შეადგინა.

ხელმოწერი პირები:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

თენგიზ ჯიქია

ნანა სულაბერიძე

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, შპს „სპორტმშენსერვისსა“ და კანადურ კომპანიას BEHLEN INDUSTRIES LP-ს შორის 2016 წლის 4 ოქტომბერს გამართებული შესყიდვის №160 ხელშეკრულება გაფორმებულია, საქართველოში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში. ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები დასკვნის შედგენის თარიღისათვის არ არის დასრულებული (შესრულებულია ნაწილობრივ), რაც საქართველოში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის განხორციელების შეუსრულებლობაზეც მიუთითებს. (რიგი სხვა მომენტები აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოებიდან გამომდინარე მოცემულია „სხვა გარემოებათა“ ამსახველ აბზაცში);

კომპანია ბოლო წლებში სტაბილურ ფინანსურ შედეგებს ვერ აღწევს და საანგარიშგებო პერიოდებს უმნიშვნელო (მიზერული) ფინანსური მოგებით ამთავრებს, ან უფრო უარესი 2016-2017 წლები დასრულებულ იქნა ფინანსური შედეგი - ზარალით. ამიტომაც დღის წესრიგში დგება ორგანიზაციის მუშაობის რადიკალური გაუმჯობესების საკითხი, გასატარებელია რიგი ღონისძიებები, მათ შორის დებიტორული დავალიანებათა ამოღების მიმართულებით, განსახორციელებელია საკადრო ოპტიმიზაციის საკითხები, პროგრამულ ინოვაციათა დანერგვები და ა.შ.

გარიგების პარტნიორი

(SARAS-A- 814430; სერთიფიკატი: სარ №0298)

აუდიტორ-პარტნიორი

(SARAS-A- 859265; სერთიფიკატი: სარ №0299)

აუდიტორ-პარტნიორი

(SARAS-A- 458120)



 ვ.აბრალავა

 ნ. ხიჯაკაძე

 ვ.კობიაშვილი

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		42546
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები		
მომხმარებელთა ლოიალურობის პროგრამები		
მიღებული გრანტები		
სუბორდინირებული სესხი		
გასაყიდად გამიზნულ შეწყვეტილ ოპერაციებთან პირდაპირ დაკავშირებული ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	5383565	127129
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	95660815	62164993
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	-2150492	65200
სხვა რეზერვები		
სულ საკუთარი კაპიტალი	93510323	62230193
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	98893888	62357322

ხელმოწერი პირები:

დირექტორი

თენგიზ ჯიქია



მთ. ბუღალტერი

ნანა სულაბერიძე



კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

#	დასახელება	ლარი			
		ნაშთი 01.01.2018	სადებიტო ბრუნვა	საკრედიტო ბრუნვა	ნაშთი 31.12.2017
1	საწესდებო კაპიტალი	62164993	1609082	35104905	95660815
2	გაუნაწილებელი მოგება	65200	-2215692	0	-2150492
3	სულ	62230193	-606610	35104905	93510323

ხელმოწერი პირები:

დირექტორი

თენგიზ ჯიქია



მთ. ბუღალტერი

ნანა სულაბერიძე



შპს "სპორტმშენსერვისი"

მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

დასახელება	2017წ	2016წ
ამონაგები	2693850	2070856
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		
გამოყენებული ნედლეული და მასალები	-157000	-115571
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	-2270057	-858262
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	-5570	-11298
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	-3644	-3690
საკონსულტაციო ხარჯი		
მმართველი კომპანიის მომსახურების ხარჯი		
სარეიტინგო მომსახურების ხარჯი		
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	-219863	-37502
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები	-2126	-2795
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	-533682	-431820
იჯარის ხარჯი		
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი		
ცვეთა და ამორტიზაცია	-1900143	-520296
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-73432	-182092
საოპერაციო მოგება	-2471667	-092470
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
გაცემულ სესხებზე		
სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებზე		
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	17338	-6614
სხვა ფინანსური შემოსავალი	238637	817203
სხვა ფინანსური ხარჯი		
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-2215692	-281881
მოგების გადასახადი	-	-
მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	-215692	-281881
შეწყვეტილი ოპერაციები	-	-
მოგება/(ზარალი)	-2215692	-281881
შემდგომში არ შეიძლება რომ რეკლასიფიცირებული იყოს მოგებაში ან ზარალში (დაბეგვრის შედეგების გამოკლებით/გათვალისწინებით):	-	-
უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-2215692	-281881

ხელმომწერი პირები:

დირექტორი

თენგიზ ჯიქია



მთ. ბუღალტერი

ნანა სულაბერიძე



შპს "სპორტშენსერვისი"
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ლარი

დასახელება	2017
ფული და ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	
იჯარიდან შემოსავლები	1,748,439
აუზიდან შემოსავლები	1,130,423
კაფედან შემოსავლები	148,115
ავტოსადგომიდან შემოსავლები	27,499
დაბრუნებული დღგ	3,500,000
თანამშრომლებზე გადახდილი ხელფასები და სხვა სარგებელი	(1,732,541)
საგადასახადო გადასახადები	(98,471)
კომუნიკაციის, კომუნალური და სხვა ლოჯისტიკური გადასახადები	(632,981)
მატერიალური მარაგები	(149,338)
მომსახურების ანაზღაურება	(8,570)
სამეურნეო ხარჯი (დერატიზაცია, ტრანსპორტირება და სხვა)	(107,970)
მივლინება	(1,185)
საწვავის ხარჯი	(21,458)
სარეკლამო ხარჯი	(4,484)
აუდიტის ხარჯი	(4,300)
ბანკის მომსახურება	(13,905)
სხვა ხარჯი	(16,680)
საოფისე	(10,470)
შეცდომით ჩარიცხული თნხის გადარიცხვა (სამინისტროზე)	(17,361)
მიმდინარე რემონტი	(18,754)
სულ ფული და ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	3,716,008
ფული და ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(36,526,976)
ძირითადი საშუალებების შექმნა (დაუმთავრებელი მშენებლობა)	(36,495,841)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(27,262)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(3,873)
ფული და ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	35,364,683
საწესდებო კაპიტალში შენატანი	35,104,905
მიღებული პროცენტი	235,924
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	14,634
სხვა შემოსავლები	9,220
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	15,253,383
ფული და ფულადი სახსრების ცვლილება პერიოდის განმავლობაში	2,553,715
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	17,807,098

ხელმძღვანელი პირები:

დირექტორი

თენგიზ ჯიქია

მთ. ბუღალტერი

ნანა სულაბერიძე

ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

სავაჭრო და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები ზოგადად, ფიქსირებული დაფარვის ვადის მქონე მიღებული სესხების სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრება მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით იმ ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია. ნასესხები საშუალებების სავარაუდო რეალური ღირებულების შესახებ ინფორმაცია.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებას.

17. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შეფასების მიზნით ბასს 39-ში, *ფინანსური აქტივები: აღიარება და შეფასება*, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (ა) სესხები და დებიტორული დავალიანება; (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები; და (დ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის კატეგორიის მიხედვით ("FVtPL"). რეალური ღირებულებით მოცემულ ფინანსურ აქტივებს, მოგების ან ზარალის კატეგორიის მიხედვით, გააჩნიათ ორი ქვეკატეგორია: (ი) ამგვარად კლასიფიცირებული აქტივები, მათი საწყისი აღიარებისას, და (იი) ისინი, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც ვაჭრობისათვის გამიზნული.

18. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები შევიდა ძალაში 2017 წლის 1 იანვრიდან, „სპორტმშენსერვისს“ არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდთა განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. შესაბამისად, კომპანიას არ გააჩნია გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ხელმოწერი პირები:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

/თენგიზ ჯიქია/

/ნანა სულაბერიძე/

მიუხედავად აღნიშნულისა, 2017 წელს „სპორტმშენსერვისმა“ მისგან დიდწილად დამოუკიდებელი მიზეზებით გაიღო დაუგეგმავი და კომერციულად არა სასარგებლო ხარჯები 363 625 ლარის ოდენობით, ხოლო დაგეგმილიდან ვერ მიიღო 653 438 ლარის შემოსავალი. ანუ ჯამში მოგება/ზარალში სხვაობამ 1 017 063 ლარი შეადგინა.

ხელმოწერი პირები:

დირექტორი

თენგიზ ჯიქია



მთ. ბუღალტერი

ნანა სულაბერიძე



